



# „ეილი ვიცხოვთ შედეგისაზე სასეს სამუშაო“

ომან რეკონ

**କଟାନ ରାଜ୍ୟ:** ଦେଶରେ, ମୁଖ୍ୟମ୍ୟତିତ୍ଵରେ ପ୍ରାଚୀନତା ପରିବଳକୁ ଯାହା ଯେ ଗ୍ରାମପରିବଳକୁ ଧରିଛି, ବେଳିକାଳୀଙ୍କ ଉତ୍ସବରେ ଉପରେ ପରିବଳକୁ ଧରିଛି ଏବଂ କୌଣସି କୌଣସି ଉତ୍ସବରେ ଉପରେ ପରିବଳକୁ ଧରିଛି। କୌଣସି କୌଣସି ଉତ୍ସବରେ ଉପରେ ପରିବଳକୁ ଧରିଛି। କୌଣସି କୌଣସି ଉତ୍ସବରେ ଉପରେ ପରିବଳକୁ ଧରିଛି। କୌଣସି କୌଣସି ଉତ୍ସବରେ ଉପରେ ପରିବଳକୁ ଧରିଛି।

*Myrmecophytes are symbiotically associated with termites.*

gutachten" bestätigen ließ und so zugelassen ist. Erst jetzt, wenn wir die Ergebnisse der Untersuchung erlangt haben, kann man sich darüber entscheiden, ob es sich um einen Mord handelt oder nicht.

and typical Mycetophila, typical humpbacked Drosophilae, typical of *Glyptothrix*, large *Drosophila* like humpbacked Drosophilae, found the typical *Drosophila* humpbacked

by Editha Mayoff Mayoff taught first at the  
High School, then at the High School in Parkersburg.

*angustata* is apparently known as *Thlaspi angustatum* by some authors, though it is not clear whether they mean the same species or not.

mento qd. qm. juntando. Adelgazq:

gjennom gitt, hvilket følger det at tilslutningen av en bestemt  
gruppe ikke gjenges. Ettersom legget er en grunn for sluttetgangen:

www.bethel.org/youth/adventures

Ngô Maja (định danh) là giống lợn đặc, là giống lợn  
ngô maja (định danh) giống lợn - là giống lợn có  
lông màu nâu.

**მინდა ვისეოვრო ბეჭიორეაზით სავსე სამარადოვი**





მცხეთა. 2017 წელი. 13 ივნისი. სვეტიცხოვლობა. საკურთხეველი.

„გული მწყდება, რომ ჩვენი სულიერი მამის, ილია II, ცნობილი მეცნიერების, მოღვაწეების უამრავი კეთილი რჩევა დარჩა ყურადღების გარეშე“.

\*\*\*

„დაუმარცხებლად დავტოვე საჭიდაო ხალიჩა. წარმატებული ადამიანი ვარ ცხოვრებაშიც, მაგრამ დღევანდელობით მოსვენება მაქვს დაკარგული, ერთეულთა წარმატება ტაძრამდე მისასვლელი გზა არ არის. მინდა ვიცხოვრო ზნეობით, ინტელექტით, ბედნიერებით სავსე სამშობლოში! ამას იმსახურებს მრავალნატანჯი საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა“.

რომან რურუ

„ეიცე ვაჲხომან  
ბენის გადა  
სავსე საფორმოვან“

რომან რურუა

I WANT MY MOTHERLAND  
TO BE OVERFLOWING  
WITH HAPPINESS

Roman Rurua

Я ХОЧУ ЖИТЬ НА  
РОДИНЕ НАПОЛНЕННОЙ  
СЧАСТЬЕМ

Роман Руруа



## მოღვაწე

„მინდა ვიცხოვრო ბედნიერებით სავსე სამშობლოში“

გასული წლის 12 აგვისტოს, დიდგორობას, გამოქვეყნებული რომან რურუას ეს წერილი, მართლაც, პროგრამულია. ჩვენ, მისი მეგობრები, ვამაყობთ ამ ნააზრევით.

დიდმა მამულიშვილმა მერაბ ბერძნიშვილმა, როცა ის წაიკითხა, აღტაცებულმა თქვა: „ვიცოდი, რომ ლეგენდარული მოჭიდავე იყო, მაგრამ ეს წერილი ადასტურებს, რომ ის სახელმწიფო ბრივად მოაზროვნე, იღლია ჭავჭავაძის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, სახელმწიფო კაცია, მოღვაწეა“.

რომან რურუა მართლაც საქვეყნო კაცია, საამაყო. მასთან მეგობრობა პატივია, სასიამოვნოა და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაა.

ჩვენ სწორედ ქვეყნისადმი პასუხისმგებლობით მოვაწერეთ ხელი დიდი მამულიშვილის, რეზო ჩეეიძის სახლში „მოქმედების მანიფესტს“ - ერთი სამშობლო, ერთიანი ერო, გაერთიანებული სახელმწიფო“ – სამეცნიერო წრეებში მას ბოლო პერიოდის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული პროგრამული დოკუმენტი რომ უწოდეს.

რომაბ რურუამ „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის გელათის, თბილისის, ბათუმისა და გორის სესიებს წარუდგინა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან დათათბირებული და მისგან ლოცვა-კურთხევა მიღებული, ჩვენი საერთო გადაწყვეტილება შოთა რუსთაველის 850 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნისა და ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და მეგობართა მსოფლიო კონგრესის მოწვევის თაობაზე.

ჩვენს გასაკუთრებულ გაკვირვებას იწვევდა და იწვევს ბატონი რომანის მსჯელობის მრავალმხრივობა და სიღრმე. კონკრეტული პრობლემების განხილვისას ის, მართლაც, ოსტატურად აჯერებს ერთმანეთში-ქვეყნაში არსებულ მდგომარეობას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, ისტორიულ გამოცდილებასთან, დიდი ფილოსოფოსებისა და მოაზროვნების შეხედულებებთან.

თავზარდამცემი იყო ქართული ბაზრის ანალიზი, რომელიც ასე დაამთავრა: „მსოფლიო ბაზარზე გვინდა გასვლა და საკუთარ ქვეყანაში დავკარგეთ ბაზარი.. ქვეყანა წალეა უცხოურმა ულიცენზიო პროდუქციამ... საქართველო ვაქციეთ იმპორტის ბაზრად, ჩვენ კი ნედლეული გაგვა-ქვს, ანუ ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციით და ქვეყნის გარეთ გატანილი ნედლეულით, სამუშაო

ადგილებს ვქმნით უცხოეთში, საკუთარი ხალხი კი უმუშევრობისთვის გავწირეთ, სამუშაო ადგილები ჯართად ვაჭიერეთ, ვანადგურებთ ლარს... დენის, გაზის და წყლის დღევანდელი ფასებითაც კი კვლავთ საკუთარ ეკონომიკას, უარესი - გაძვირებას აპირებენ“.

ბატონი რომანი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მართვის პრობლემებთან აკავშირებს და სწორადაც.. უკომპრომისო კაცია, გაბედული და ნოვატორული აზროვნებით, მაგრამ რადიკალიზმის, ურაპატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგი. ეს ჩვენს საერთო პოზიციად ჩამოყალიბდა. ამის დასტურად ორი გადაწყვეტილება გვინდა მოვიტანოთ:

- ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე უსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანაბრძომლობის ჰარმონიზაცია – მხოლოდ ძლიერთ ხელენიფერებათ.

- ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს! ქართული არასადროს ნიშნავდა კარჩაკეტილობას, იგი ყოველთვის ნაზიარები იყო ზოგად-კაცობრიულთან. ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა... გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრინები. დროა დავის-სნათ საქართველო გარედან მართვისაგან!

ეს ვართ ჩვენ, ასეთია „ქართული ერთობის დარბაზის“ განწყობა, იმ დარბაზის, რომლის ერთ-ერთი გამოირჩეული ლიდერია ბატონი რომან რურუა – ქართული სულის მოღვაწე კაცი, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის გამოთქმა: „გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ.“

თუ ამას გავიცნობიერებთ, ვიცხოვებთ ბედნიერებით სავსე სამშობლოში, – თვლის კაცობის გზით მავალი რომან რურუა.

**აზორ ერძომაიშვილი გიგა ბათიაშვილი ტარიელ ხარხელაური გივი თორიძე არნოლდ გეგეშვილი ომარ მხეიძე თემურ გუგუშვილი რამაზ ჭურაშვილი**





### რომან ვლადიმერის ძე რუა

დაიბადა **1942** წლის **25** ნოემბერს.

**1959 - 1972** წწ. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ წონით კატ-ეგორიას (**62-70** კგ) გამოდიოდა. ამ წონით კატეგორიებში დღემდე ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელიც არც ერთ უცხოელ მონინაალმდევესთან არ დამარცხებულა.

**1964** წ. - ტოკიო (იაპონია) - ოლიმპიური თამაშები - ვერცხლი (დაუმარცხებლად)

**1966** წ. - ტოლიდო (აშშ) - მსოფლიო ჩემპიონი

**1967** წ. - ბუქარესტი (რუმინეთი) - მსოფლიო ჩემპიონი

**1968** წ. - მეხიკო (მექსიკა) - ოლიმპიური ჩემპიონი

**1969** წ. - მარ-დელ-პლატა (არგენტინა) - მსოფლიო ჩემპიონი

**1970** წ. - ედმონტონი (კანადა) - მსოფლიო ჩემპიონი

**1963-64-65-67-70-71** წწ. სსრკ ჩემპიონი, მათ შორის

**1963-67-71** წწ. - სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი

**1999-2003** წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი

**2014** წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ცნობილ მოღვაწეებთან, მერაბ ბერძნიშვილთან, რეზო ჩხეიძესთან, ანზორ ერქმაიშვილთან, გიგა ბათიაშვილთან, გივი თოიძესთან, ტარიელ ხარხელაურთან, არნოლდ გეგეჭყორთან, ომარ მხეიძესთან, თემურ გუგუშვილთან, რამაზ ყურაშვილთან ერთად დააფუძნა „ქართული ერთობის დარბაზი“ და ხელი მოაწერა მოქმედების მანიფესტს „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“.



### ROMAN RURUA

Was born on November **25, 1942**.

In **1959-1972** he performed in two weight categories (**62-70** kg) in Greco-Roman wrestling. In these weight categories he remains the only wrestler in the world who has not lost with any foreign rival.

**1964** - Tokyo (Japan) - Olympic Games - silver (without losing a single combat);

**1966** - Toledo (USA) - World Champion;

**1967** - Bucharest (Romania) - World Champion;

**1968** - Mexico City (Mexico) - Olympic Champion;

**1969** - Mar del Plata (Argentina) - World Champion;

**1970** - Edmonton (Canada) - World Champion;

**1963-64-65-67-70-71** - Champion of the USSR;

**1963-67-71** - Champion of the Spartakiad of the Peoples of the USSR;

**1999-2003** - Member of the Parliament of Georgia.

In **2014**, with the blessing of His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, together with famous figures - Merab Berdzenishvili, Rezo Chkheidze, Anzor Yerkomashvili, Gigi Batishvili, Givi Toidze, Tariel Harhelauri, Arnold Gegechkori, Omar Mkheidze, Temur Gugushvili and Ramaz Kurashvili Roman Rurua established "Darbazi of Georgian Unity" and put his signature under the Manifesto of Action "One Country, Unified People, United State".

### РОМАН ВЛАДИМИРОВИЧ РУРУА

Родился **25** ноября **1942** года.

В **1959 - 1972** гг. выступал в двух весовых категориях (**62-70** кг) греко-римской борьбы. В этих весовых категориях остается единственным в мире борцом, который не проиграл ни одному иностранному сопернику.

**1964** г. - Токио (Япония) - Олимпийские игры - серебро (не проиграв ни единого поединка);

**1966** г. - Толидо (США) - Чемпион мира;

**1967** г. - Бухарест (Румыния) - Чемпион мира;

**1968** г. - Мехико (Мексика) - Олимпийский чемпион;

**1969** г. - Мар-дель-Плата (Аргентина) - Чемпион мира;

**1970** г. - Эдмонтон (Канада) - Чемпион мира;

**1963-64-65-67-70-71** гг. - Чемпион СССР;

**1963-67-71** гг. - Чемпион Спартакиад народов СССР;

**1999-2003** гг. - Член парламента Грузии.

В **2014** году с благословения Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всей Грузии Илия II совместно с известными деятелями: Мерабом Бердзениშვილი, Резо ჭეიძე, Аნзором Еრკომაშვილი, გიგო ბათიაშვილი, გივი თოიძე, თარიელ ხარხელაური, არნოლდ გეგეჭყორთან, რამაზ ყურაშვილთან ერთად დააფუძნა «Darbazi of Georgian Unity» и поставил свою подпись под Манифестом действий «Одна страна, Единый народ, Объединенное государство».

## მოაზროვნის ოფლი

**О**ს წიგნი, რომან რურუას ნაკლებად, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს, დღევანდელ საქართველოს, შთამომავლობას, მომავლის საქართველოს კი ნამდვილად სჭირდება.

მისი გამოცემის იდეა „ქართული ერთობის დარბაზის“, სამების ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის შეხვედრებზე დაიბადა, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის, „ეროვნული თანხმობისათვის“ კონგრესის სესიაზე განვითარდა და გადაწყდა კიდეც.

ლანძლვა-გინებით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ და დაპირისპირებულ საქართველოს, დეპრესიაში მყოფ ხალხს – იმედგაცრუებულს. სასოწარკვეთილს, ხელებჩამოშვებულს, მაგალითი, იმედიანი მაგალითები სჭირდება.

ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და მეგობართა მსოფლიო კონგრესის მზადებამ, ხალხში გასვლამ, ჩვენს თანამემამულებთან შეხვედრებმა უცხოეთში, უამრავი შემართული ადამიანი დაგვანახა და გაგვაცნო.

გაჩნდა კითხვაც და დასკვნაც: როგორ შეიძლება ამ ინტელექტუალური, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ქვეყანაში-ლვთითბოძებულში, ასე ვცხოვრობდეთ?

რა არის საჭირო?

ხელისუფლება, რომელიც გარედან არ იმართება, ქვეყნის მართვის სისტემის შექმნა, მოაზროვნის ოფლი.

რომან რურუას მაგალითზე ყველაფერი რელიეფურად ჩანს. ეს წიგნიც ამას ადასტურებს.

ნიჭმა და ნებისყოფამ სამეგრელოს მხარის, მარტვილის რაიონის ერთი პატარა სოფელ მუხურჩაში დაბადებული ბიჭი, მსოფლიო საკუთრებად აქცია – ლეგენდარული სპორტსმენი, ბრწყინვალე შეურნე, ღრმად მოაზროვნე, ქართული ცნობიერების ზოგადკაცობრიული იდეალებით დატ-

ვირთული კაცი... ტრადიციების პატივისმცემელი და სიყვარულით სავსე ოჯახის შემქმნელი.

სწორედ მოაზროვნე რომან რურუას ოფლის, მისი ნიჭისა და ნებისყოფის შედეგია, რომ, როცა თითქმის მთელი სქართველო ქალაქისკენ დაიძრა, ის ქალაქიდან სოფელში გადასახლდა მთელი ოჯახით... მცხეთის რაიონის ღართისკარის ხევი, კლდე-ყორე, პრაქტიკულად, უკაცრიელი ადგილი წალკოტად აქცია. ქვეყანაც კი, შორსაა ისეთი ავტონომიურობისაგან, თვითკმარი ეკონომიკისაგან, რომლის შექმნა მან შეძლო სამ ჰექტარ მიწაზე, მის ეზო-გარემოსა და კარ-მიდამოში.

...ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული, ყველა სახეობის შინაური ფრინველი და საქონელი... 30 წელზე მეტი ქარის ენერგიით ცხოვრება, მიწისქვეშა 90 ტონიანი წყალსაცავი – ერთი წლის მარაგით, თანამედროვე თავშესაფარი მიმდებარე მოსახლეობისათვის... მარანი, თონე, სამეურნეო სახლი ყველა სახის იარაღ-მოწყობილობით... მოვლილ-დავარცხნილი ეზო... ბრწყინვალე ბიბლიოთეკა... სასუქს არ იყენებს, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს არ ცნობს... ყველაფერი ნატურალური უყვარს: ბუნებაც, ადამიანიც, საკვებიც... ლია კაცია, ქართველი მილიონერებივით, ფულს არ ხარჯავს ხალხისგან დასამალი კედელ-გალავნების მშენებლობაში, ღობეც კი გამჭვირვალე აქვს.

მთავარი და უპირველესი – ყველაფერი საკუთარი ხელით, გარჯით აქვს შექმნილი. მსოფლიოს ერთ-ერთი ტიტულოვანი სპორტსმენი, შრომას მზის ამოსვლამდე იწყებს. ხნავს, თესავს, თოხნის, ბარავს, წველის, კრეფს, ამყნობს, რწყავს, აკრავს... ვაჟას მინდიასავით, ჯერ მიწას, ბუნებას, ფრინველსა და ცხოველს ესაუბრება, მერე შვილიშვილებსა და ოჯახს ეფერება, მერე

წიგნებს უღრმავდება, განსაკუთრებით ფილოსოფიურს. ამის შემდეგ იწყება მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. უამრავი მიწვევა აქვს. ყველგან ასწრებს. ბევრს მოგზაურობს. საკუთარ მხარეს, რაიონს, სოფელს, ნაცნობ-მეგობრებს არ ივიწყებს. ყველა შეხვედრისთვის საგანგებოდ ემზადება. უკომპრომისოა შეფასებებში. ამის გამო, მოუწესრიგებელს უჭირს მასთან ურთიერთობა... სხვისი გახარების უნარი, ნამდვილად მოჭარბებულად აქვს. ამაშიც გამორჩეულია.

იშვიათია მეგობრებით ასე სავსე ადამიანი... მეცნიერებთან, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან დიდი მეგობრობა აქვს. სპორტსმენებზე აღარაფერს ვამბობთ... ხალხში გასული კაცია, უკომპლექსო, კომუნიკაციელური. ვერ იტანს მტირალსა და მოწუნუნეს, ქუჩის პოლიტიკოსებს... მიაჩნია, რომ ქუჩის პოლიტიკა ცრემლით და სისხლითა სავსე.

ნამდვილად გვეყოფა სისხლი და ცრემლი, დაპირისპირება... ქვეყნისთვის ოფლის დაღვრის, ჭკუით და გონებით ოფლის დაღვრის დროა.... თანამშრომლობის პარმონიზაციის დროა...

ასე ცხოვრობს რომან რურუა, რომლის ცხოვრება ია-ვარდით არც ადრე ყოფილა მოფენილი და არც დღეს არის... სასამართლოდან სასამართლოში უწევს დაცვა ყველა ხელისუფლებისგანაც და წამგლეჯველი უცხოელებისგანაც... მებრძოლი კაცია და იცის, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

რომან რურუა და მისი მსგავსი, ქვეყნის სიმდიდრეა. ასეთი ადამიანების მხრებზე დგას ქვეყანა და ის მით უფრო ძლიერი იქნება, რაც მეტი გვეყოლება ასეთები და რაც მეტად ვისწავლით ასეთი ადამიანების დაფასებას ხელისუფლებაშიც და ხალხშიც.

ძლიერს აფასებდა დიდი დავით აღმაშენებელი და იმიტომაც იყო მისი დროის

საქართველო ძლიერი ძლიერს ექვს და პოულობს, სუსტის მასზე სუსტებთან უადვილდება ურთიერთობა, მათზე უფროსობა.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში სუსტების იდეოლოგია მძლავრობს, სიკეთე გათითოვაცებულია და პოროტება ერთ მძლავრ პოლიტიკურ მუშტადაა შეკრული.

ეს უნდა დასრულდეს.

ნახეთ ეს წიგნი; ყოველ სურათში ძალაა, იმედია... ნახეთ, როგორ აზროვნებს რომან რურუა, როგორი სტატიები და ინტერვიუები გამოაქვეყნა. როგორი სატელევიზიო გამოსვლები აქვს (ტელევიზიებში ნაკლებად იწვევენ)... რაღაცაში შეიძლება არ დაეთანხმო, ეკამათო, მაგრამ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი რომ გელაპარაკება, კაცი, რომლის სახელთანაც მხოლოდ გამარჯვებაა - ესეც ფაქტია. რომელი ლექსები უყვარს, აქაც კი იკითხება, როგორი კაცია.

„რამ შექმნა ასეთად? ხალხის და საზოგადოების სიყვარულმა,“ - თვლის ბატონი რომანი.

რომან რურუას წალკოტი, ეს არის მოაზროვნის ოფლით შექმნილი წალკოტი. ამის შექმნა და გაკეთება შეგვიძლია თითოეულს, თუ ვაზროვნებთ, ხელები გვაქვს დაკაპინებული, არ ვტირით, არ ვწუწუწუნებთ და შეგვიძლია ოფლის დაღვრა... და კიდევ ერთი და განსაკუთრებული, თუ მთავრობა ბანკებს არ დაასვამს თავზე ხალხს და ქვეყანას... თუ ვერ დაეხმარება საქმიან კაცს, ხელს მაინც თუ არ შეუშლის.

სწორედ ამ მიზნით ვქმნით ამ წიგნს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის კონგრესის წინ.

ჩვენ ამ წიგნს - „იმედის წიგნს“ ვუწოდებთ.

## ავირჩიოთ ადამიანები, რომელსაც ქართული სული აქვთ, გაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვა

**ნ**არსულის ანალიზის გარეშე წარ-  
სულში ჩავრჩებით.

იქნებ, დღეს ჩვენ სწორედ ეს გვჭირს.

**შთაპეჭდილება** რჩება, რომ ყველა,  
ვინც ნოვატორობს და რეფორმატორობს  
წარსულის ლანძღვით, ყველაფერს სათა-  
ვისოდ ირგებს, საქვეყნო ანალიზის თავი  
არ აქვს, მომავალს ვერ ხედავს და წარ-  
სულშია თვითონ. სწორედ ასეთთა უმრავ-  
ლესობა გარბის პარლამენტისკენ.

ჩემი დაკვირვება და გამოცდილება  
მარნმუნებს: დიდი სიფრთხილით შევხე-  
დოთ ყველას, ვინც პარლამენტში შეს-  
ვლისთვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს  
და ამავე დროს, შევეხვენოთ, სწორედ  
რომ შევეხვენოთ, პარლამენტზე იფ-  
იქროს ყველა იმ ადამიანმა, ვინც მართლა,  
რომ ჰაერივით სჭირდება უმძიმეს მდგო-  
მარეობაში მყოფ ჩვენს სამშობლოს.

„შეფუთული“, „გალამაზებული“  
თვითმარქვია პოლიტიკოსები კი არა,  
მაღალი რეპუტაციის (!) პროფესიონალე-  
ბი, ცხოვრებით გამოცდილი ადამიანები,  
რომელთაც ქართული სული აქვთ, მაგრამ  
ესმით მსოფლიოს სუნთქვაც – ეს სჭირდე-  
ბა დღეს საქართველოს.

**როგორ მოვძებნოთ?**

ჩემი რჩევა მარტივია: გადით ხალხ-  
ში, გაიგეთ ხალხის აზრი! ხალხში დიდი  
სიმართლეცაა, დიდი იმედგაცრუებაც და,  
რაც ყველაზე ცუდია, უიმედობაც. ვერც  
ბელადებმა გვიშველეს და ვერც ფულ-  
მა. გადარჩენა განათლებაშია, ზნეობრივ  
ადამიანებშია.

გულს მიკლავს, რომ უამრავი ადა-  
მიანი ჩვენში, მათ შორის, ისინიც, რო-  
მელთა მიმართაც კეთილი განწყობის

მეტი არაფერი მაქვს, დღესაც მაღალ  
სახელისუფლებო ეშელონებში რომ არ-  
იან, ფიქრობენ პარტიის და არა ქვეყნის  
გადარჩენაზე. ფიქრობენ მეგობრების,  
საკუთარი სტატუსის, სკამის და არა ქვეყ-  
ნის გადარჩენაზე. დამწვარა ყველა სკა-  
მიც და რა ჯანდაბად გვინდა პარტიები,  
ასეთი მეგობრობა, თუ ხალხი და ქვეყანა  
ამ მდგომარეობაში იქნება?!

**ქვეყანა უახლოვდება ძალიან მნიშ-  
ვნელოვან მიჯნას,** რომელიც განსაზ-  
ღვრავს სახელმწიფოს მომავალს უახ-  
ლოესი ოთხი წლის (და არამარტო)  
განმავლობაში. მე თუ დამეჯერება, ვი-  
ტყვი: როგორც არასდროს, ისეთია ამ  
არჩევნებში ჩვენი, ხალხის, პასუხისმგე-  
ბლობა, თითოეული ამომრჩევლის პასუხ-  
ისმგებლობა. მომავლის პარლამენტში  
ჩვენ, ხალხმა, უნდა ავირჩიოთ ის, ვინც  
კარგად იცის ორი რამ მაინც: ბუნების  
კანონები და დაგროვილი ნაგვის (მე მას  
პოლიტიკურ ნაგავს უწნოდებდი, რომლი-  
თაც გაივსო საზოგადოებრივი ცხოვრება)  
გადამუშავება.

პირველი საჭიროა, რომ სახელმწიფო  
მართვის პოლიტიკა მთლიანად ეყრდ-  
ნობოდეს ქართველი ხალხის ბუნებას და  
თავისუფალი იყოს თავსმოხვეული უცხო  
იდეოლოგიებისაგან, ანუ ის, რაც დაგვი-  
ტოვა ერის მამამ, ილია ჭავჭავაძემ „საერ-  
თო ნიადაგის თეორიის“ სახით.

**ხოლო მეორე – ყველა დონეზე ბლო-  
მად დაგროვილი ნაგავი გადამუშავდეს,**  
მხოლოდ დიდი სიფრთხილითა და ყურ-  
ადლებით, რადგან ყველა ნაგავშია ბა-  
ჯალლო ოქროც და ყველა ნაგვის გამოყ-  
ენება შეიძლება სათანადო ოპერაციების

შემდეგ. შემაძრნუნებელია, რომ პარტია-თა უმრავლესობა, სკუთარი თავის გარდა, ყველა სხვას „ნაგვად“ მიიჩნევს.

მე კი ასე ვფიქრობ: ყველაზე დიდი ნაგავი თვითკმაყოფილებაა. ყოველი ხელისუფლება, პარტია თუ პოლიტიკოსი, იმ ზომითაა ნაგავში, რა ზომითაც თვითკმაყოფილია. ხალხი მართლაც, შეძრნუნებულია ყველა დონეზე გამეფებული თვითკმაყოფილებით.

ქვეყნისათვის უკადრებელი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ბუნების კანონებისადმი მორჩილებაშია. სწორედ ბუნების კანონები გამოარჩევენ კარგს ცუდისაგან. ჩვენ კი, 25 წელიწადია ვცხოვრობთ „ოთახის კანონებით“, სწორედ რომ ვცხოვრობთ – „ოთახის კანონებით“ და სახელმწიფოც იმართება „ოთახის კანონებით“, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი კანონებს ირგებენ საკუთარ თავზე. კანონი, როგორც ასეთი, უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას. ბუნების სამართალი და კანონი მანამდე არსებობდა, სანამ სახელმწიფოები წარმოიშობოდა. ის უტყუარია და მას მუდამ ექნება უპირატესი უფლება, ვიდრე ოთახში დაწერილ და მავანთა ინტერესებს მორგებულ კანონს. საქართველოში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ბუნებრივი, კანონზომიერების გააზრება არ ხელენიფება. შესაბამისად, ისინი საკუთარ ქვეყანაში უცხო სისტემაში (აშშ, ევროპა) მოქმედი კანონების პლაგიატს ნერგავენ. ლოგიკა კი მარტივია: სახელმწიფო, რომელიც ცხოვრობს ბუნების კანონებით – აღნევს ყველაზე მაღალი დონის დემოკრატიას.

„ცუჭის პრობლემა“ ვერ გადაწყდა გონიერებით, როგორც ხშირად ვამბობთ, ტვინით გატენილი ადამიანების და ლვთითბოძებული წალკოტის ქვეყანაში. მსოფლიომ იცის ყინულოვანი, უმინო და უწყლო ქვეყნები, როგორ აქციეს წალკო-

ტად ხელისუფლებებმა მეცნიერებაზე, ნიჭიერ ხალხზე დაყრდნობით, საქმიანი ადამიანებისადმი მხარდაჭერით და ქვეყნის სიყვარულით. ჩვენი პოლიტიკით წალკოტი ხრიოკი ხდება. საკუთარი უმეცრებით დაჩაჩინა კებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. არ შეიძლება, დანაშაულია ამ ქვეყანაში ამდენ გონიერ და საქმის გამკეთებელ ადამიანს ხელისუფალთაგან მისჯილი ჰქონდეს უსაქმურობა და ტანჯვაში ცხოვრობდეს!

ვის მოსწონს და ვის – არა, ეს მძიმე რეალობა!

გული მწყდება, რომ ჩვენი სულიერი მამის, ილია მეორის, ცნობილი მეცნიერების, მოღვანეების ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში უამრავი კეთილი რჩევა დარჩა ყურადღების გარეშე.

უკადრებელი გვაკადრეს, გვეუბნებიან: რაც გინდა წერეთ და იკითხეთ, არავის აზრი არ გვაინტერესებს, ჩვენ ყველაფრისმცოდნენი ვართ და რაც საჭიროა ქვეყნისთვის, ვაკეთებთო.

რა არის ეს, თუ არა მართვის პრობლემები, პირდაპირ ვთქვათ – უმართაობა და უპასუხისმგებლობა?! ხელისუფლება იცვლება, ხალხი კი უარესად ღატაკდება. პასუხი დღემდე არავის უგია.

ქვეყანაში უმართაობა სწორი მართვით რომ შეიცვალოს - თანამდებობებზე პროფესიონალები და ცხოვრებით გამოცდილები უნდა მოვიდნენ.

ჩვენ თვალწინ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლება ეთამაშებოდა ახალგაზრდობას, პირდაპირ ვთქვათ, სპეცულირებდა მათი ასაკით, მიზანშენონილზე 10-15 წლით ადრე ნიშნავდა თანამდებობაზე, შეჟყავდა საარჩევნო სიებში და უპირისპირებდა უფროს თაობას.

დაგვანგრია ამ მზაკვრობამ. ბევრი ახალგაზრდა დაგვაკარგვინა და უფროს თაობასთანაც პრობლემები შეიქმნა. სა-

შუალო თაობის თავზე წისქვილის ქვა ტრიალებს. ქვეყანაში ტოტალური „ხიდ-ჩატეხილობაა“.

ბატონებო! აზრი დაკარგა საკუთარ ქვეყანაში განათლების მიღებამ, აზრს კარგავს ეროვნული სულის პარტიებიც, არასამთავრობოებიც, პრესაც, ტელევიზიაც, გაბატონდნენ უცხოეთიდან ფინან-სირებადნი და მხარდაჭერილნი.

სალხი გაოგნებულია საზოგადო მოღვაწეების, ინტელიგენციის, მიჭირს თქმა, სახელმწიფო კაცების დუმილით. „გაიყიდეთო,“ – გვეუბნებიან, მთავრობებზე, პოლიტიკოსებზე, პოლიტიკურ პარტიებზე, ფულიანებზე გაიყიდეთო!

სალხს არც გაყიდულის სჯერა და არც მყიდველის. ორივე საქართველოს, ქართულ სულს ებრძვის! ორივე უცხოა, მიუღებელია ქართული სულისთვის!

როგორც ბევრი სხვა, მე არც გავყიდულვარ და ვერც ვერავინ მიყიდის, მაგრამ რეალობას თვალს ვუსწორებ – ხალხი მართალია. მას სწორ გზაზე დაყენება უნდა და კარგი მმართველი სჭირდება!

მსოფლიო ამაყობდა და ამაყობს ქართული კულტურით, ქართველი მეცნიერებით, ხელოვნების და კულტურის ქართველი მოღვაწებით, პოლიტიკოსებით, მხედართმთავრებით, მასწავლებლებით, ექიმებით, სპორტსმენებით. ეს ჩვენი ქვეყნის დიდი სიმდიდრეა. დღეს ხალხს ვჭირდებით, ბატონებო, ხალხს და დავდგეთ ხალხთან!

- მადლობა ჩემს მეგობრებს, ყველას, ვისაც შევხვდი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, „ქართული ერთობის დარბაზს“, კეთილი რჩევაც ბევრი მოგვცეს და მხარიც დაგვიჭირეს.

ჩვენ ამ საკითხებზე არაერთგზის გვისაუბრია. ეჭვი არც იმაში მეპარება, რომ ასე უამრავი ფიქრობს. უფრო მეტიც, მე ვთქვი ის, რაზეც ლაპარაკობს საზოგა-

დოება. ვთქვი იმიტომ, რომ მოქმედებაა საჭირო და ამას ვეუბნები არა სხვას, არამედ საკუთარ თავს, ვინაიდან, ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

თითქოს მარტო ვიდექი მსოფლიო ტი-ტანების წინ საჭიდაო ხალიჩაზე, მაგრამ მოწინააღმდეგის კარგად შესწავლა და ქართული სული მამარჯვებინებდა. დაუმარცხებლად დავტოვე საჭიდაო ხალიჩა. წარმატებული ადამიანი ვარ ცხოვრება-შიც, მაგრამ დღევანდელობით მოსვენება მაქვს დაკარგული, ერთეულთა წარმატება ტაძრამდე მისასვლელი გზა არ არის. მინდა ვიცხოვრო ზნეობით, ინტელექტით, ბედნიერებით სავსე სამშობლოში! ამას იმსახურებს მრავალნატანჯი საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა.

ეს არ არის ძნელი – საჭიროა:

- ღირსება ხალხში
- პასუხისმგებლობა ხელისუფლებაში
- ღირსეულის დაფასების პოლიტიკა ქვეყანაში

• ხალხსა და ქვეყანაში იმის გაცნობიერება, რომ ხელისუფლება ხალხის მსახურია და არა უფროსი.

• ხალხსა და ქვეყანაში იმ რწმენის გაძლიერება, რომ სამშობლოს გადარჩენა ჩვენშია – ქვეყანაშია, გარეთ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა მხსნელები და პატრიონები.

ასეთი დიდი ქართული მიზნისთვის ღირს ცხოვრებაც და თავგანწირვაც.

სწორედ ამიტომ ვამბობ: დიდი ქართული ერთობით გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლო და თითოეული ჩვენგანიც.

რწმენით და იმედით,

**რომან რურუა**

21 ივლისი, 2016 წელი

## LET'S ELECT TO THE PARLIAMENT PEOPLE, WHO HAS THE GEORGIAN SOUL AND AT THE SAME TIME WHO FEEL THE BREATHING OF THE GLOBE

**Without the analysis of the history we'll stay lagging behind in the past.**  
**Perhaps we are afflicted with this problem today.**

**Such an impression I have:** the innovators and reformers who detest the past act rather to the benefit of themselves than of the country; bending everything and everybody round their little finger they are absolutely unable to properly analyses the events to foresee the future. Such people hurry to become the members of the parliament.

**I speak out of my experience: be aware of those who are hell-bent on getting into the parliament; on the other hand we should beg on bended knees all the men of virtue to get in there because they are exactly the men our country needs like air.**

**Today Georgia is fed up with our vaunted politicians who are usurpers and impostors; it cries out to have the professionals with true Georgian spirit, high reputation and a lot of life experience who feel the breathing of the globe.**

**How should we find such individuals?**

**I advise to look for them among the people, get the people's thoughts! There is great truth in the people's mind and alas! great frustration too. No money and no leaders could save us. Only virtue and intellect do so!**

I'm repelled by the behavior of those whom I respect and who are still nestled in their political chairs thinking only to save their own friends and parties, keeping their power and never having any idea to save the country. Away with all such impostors! Let all political parties and friendships be cursed if our country and the people continue to be in such a miserable state!

**Today Georgia is on the edge of a precipice;** the election time comes – the highest im-

portant moment which will determine Georgia's nearest and farthest future; therefore I say: people and each voter are greatly responsible for this election. **We, the people, should elect the individuals who are aware of at least two things: the laws of nature and...the recycling of the accumulated trash, (I would call it a political trash),with which our social life is overflowing.**

The knowledge of the laws of nature is vitally important: the governing policy of the state should rely on the nature of the Georgian people and be absolutely free from foreign ideologies. This idea belongs to **Ilya Chavchavadze** who was called the father of the nation and who wrote his famous "The thesis of the common soil".

The knowledge of recycling trash through all levels of our social life is also important; but we should be very careful here to notice pure gold existing among all rubbish, which may become absolutely useful after the appropriate recycling operations. The fact that most of the parties consider all others to be a trash is exasperating.

**I think that the biggest waste is complacency; the more the government (a party or a politician) shows self-satisfaction the deeper it sinks into a dirty rubbish. The people are truly repulsed by the complacency reigning here everywhere.**

**The only way out of such a disdainful misery is to obey the rules of nature, which help to separate the good from the bad.** For 25 years we have been living and breathing by "**the room laws**" by which our government is ruled. The people of power match laws suitable for themselves. Laws ought to be adjusted to the nation's character and to the needs of the country. The law and justice of nature had existed long before the creation of states. The law of nature is true and will always be above the rules written by some



what's-his-names who suit them to their interest. A certain group of individuals in Georgia are incapable of understanding the regularity of nature; therefore these people are keen on planting in the Georgian soil the laws copied from the foreign countries (such as the US and Europe). **But the logic is simple: a state which obeys the laws of nature has the highest democracy standards.**

**Unfortunately, the stomach problem in Georgia has not so far been solved reasonably. God bestowed on us, as we frequently say, the blessed land with the citizens burdened with wisdom. The world knows how icy lands and barren deserts without a drop of water have been changed into oases by the clever governments, which promote science and talented individuals and cherish their native land.**

**But our government's policy turns the oasis of Georgia into a desert. The local municipalities have declined by the lack of qualification. It's a real crime of the Georgian government to sentence so many clever and capable people to unemployment and to languishing in misery.**

**It's a poignant reality notwithstanding anyone likes it or not.**

Numerous articles were issued that contained public discussions and many good advices given by the patriarch, scientists and public figures; it's such a pity that all of them were left without any attention.

The government flings insults at us and says that we can write and read whatever we like, that they couldn't care less about our opinions, that they are the know-all's doing everything

our country needs.

What can we call it honestly? Serious problems in management and the irresponsibility? The governments substitute one another, but the people becomes poorer and no one has ever been accountable for all this.

The problem of mismanagement in Georgia is to be solved by means of electing the qualified professionals with a great experience.

As we all can remember, the governments of independent Georgia have been literally toying with the youth, profiting from their age, 10-15 years earlier than recommended appointing them to responsible posts, making them members of election lists, opposing the older generation.

Such a perfidy left destruction in its wake: this treachery sacrificed many young men and caused problems with the older ones. The “bridges are totally broken” between the generations. The middle-aged people got in a terrible whirlwind of destiny. Sirs! there is absolutely no reason in receiving education in our own country, the press, TV, NGOs, the parties with national sense of conscientiousness lost their ideas. Today those win the crown are financed and supported from abroad.

The people are astonished by the silence of the public figures, intellectuals, the men of power. ‘You sold yourself’, they say, ‘to governments, politicians and political parties, to those who have money’.

But the people believe neither the sold nor the buyer. Both attack Georgia and the Georgian soul!

I have never been sold, like many others, and no one ever can buy me. I do see the reality: the people are right; they need a good ruler to pave the right way for them to a brighter future!

The world has always been so proud of the Georgian culture, science, the men of art, politicians, commander-in-chiefs, teachers, sportsmen. This is the greatest treasure of the nation. Sirs, the people needs us today and let's stand with them!

I'd like to thank my friends, all whom I met in almost every region of Georgia. I thank the Georgian Council of Unity, which supported and gave us many valuable advices.

We have talked about these issues for several times. I have no doubt that many others think like me. I have been speaking about the things that are actively discussing by the society. The main idea of my long speech is that action is so important today. I call myself for action first; I know that the greatest triumph is to get a victory over yourself.

I stood alone on a wrestling rug before the world's famous titans, but I always won thanks to the Georgian soul that helped me and because of the thorough learning of the opponent that made me the undefeated winner. I quit wrestling without a single defeat. My personal life is also very successful, but what happens today makes me impatient. The welfare of certain individuals won't show us the way to the Temple. I wish to live in the country full of happiness, morality and intellect. Long-suffering Georgia and its population really deserve to be well-off. It's not so difficult to achieve.

We need:

1. The people full of virtue;
2. The responsible government;
3. The policy of valuing the virtuous;
4. The knowledge that the government is the people's employee, not the commander;

5. The strengthening of the belief that the rescue of the country abides in each of us, and we should look for friends abroad, but not for the masters and defenders.

For such a great Georgian aim is well worth living and devotion.

Therefore I say: our Motherland and each of us will succeed by the great unity of Georgia.

with faith and hope,

Roman Rurua

July, 21

2016

## ИЗБЕРЕМ ЛЮДЕЙ С ИСТИННО ГРУЗИНСКОЙ душой, но КОТОРЫЕ ЧУВСТВУЮТ ДЫХАНИЕ ПЛАНЕТЫ

**Б**ез анализа прошлого, мы так и застрянем в прошлом.

Возможно, сегодня мы страдаем именно от этого.

У меня такое впечатление, что все новаторы и реформаторы, ругая прошлое, подгоняют все под себя, и в то же время не способны проанализировать существующую ситуацию, спрогнозировать будущее да и сами все еще находятся в прошлом, причём большинство таких людей рвутся попасть в парламент.

Мой опыт и наблюдения убеждают меня: следует с большой опаской относиться ко всем, кто тратит усилия и деньги изо всех сил пытаясь оказаться в парламенте; и в то же время нам необходимо умолять, именно, что умолять, дабы все те люди, которые действительно, как воздух нужны нашей Родине, находящейся в тяжелейшем положении, направляли свои помыслы и намерения для избрания в парламент.

Сегодня Грузии нужны не «упакованные» и «приукрашенные» политики самозванцы, а профессионалы с достойной репутацией (!), с большим жизненным опытом, люди истинно грузинского духа, но которые чувствуют и дыхание всего мира.

Как же найти таких людей?

Мой совет прост: идите в народ, узнайте мнение народа! В нем и великая истина, и огромное разочарование и что хуже всего - безнадежность. Нас не смогли спасти ни вожди, ни деньги. Спасение в образовании, в порядочных людях.

Сердце разрывается от того, что многие из нас, среди них и те, к которым я ничего кроме хорошего расположения не испытываю, которые и сегодня находятся на высоких государственных постах, думают только о спасении партии, а не страны. Думают об удержании своих постов, собственных статусов и своих друзей, а не о спасении страны. Да

пусть горят ярким пламенем все кресла, и будут прокляты все партии и такая дружба, если наша страна и народ будут оставаться в таком плачевном состоянии!

Страна приближается к наиважнейшему периоду, который определит будущее государства на ближайшие четыре года (и не только). Поверьте, на этих выборах как никогда велика ответственность и наша - народа, и каждого избирателя. В будущий парламент мы, народ должны избрать тех, кто по крайней мере хорошо знает хотя бы две вещи: законы природы и ... переработку накопленного мусора (я бы назвал это политическим мусором, которым наполнилась общественная жизнь).

Первое нужно для того, чтобы политика управления государством полностью опиралась на природу грузинского народа и была свободной от навязываемых иностранных идеологий, то есть такой, как «отец отечества» - Илья Чавчавадзе оставил нам в виде тезисов «Теории общей почвы».

А второе - для утилизации огромного количества мусора на всех уровнях нашей общественной жизни нам следует действовать очень осторожно и внимательно, поскольку во всяком мусоре можно обнаружить и червонное золото, да и после соответствующих операций можно использовать любой мусор. Вызывает раздражение, что большинство партий считает, что все кроме них являются «мусором».

Я же считаю, что самые большие отходы - это самодовольство. Каждое правительство, партия или политик в той мере погружены в мусор, в какой и проявляют самодовольство. Люди, и вправду, потрясены самодовольствием, царящим на всех уровнях.

Для страны единственным выходом из такого унизительного положения является подчинение законам природы. Именно законы природы выявят отличия хорошего от



плохого. Мы же, 25 лет живем по «комнатным законам», да и управление государством осуществляется по «комнатным законам», когда в стране власть предержащие подгоняют законы под свои интересы. Закон, как таковой, должен подходить и соответствовать характеру нации и нуждам страны. Природное право и закон существовали задолго до образования государств. Это является непреложной истиной и всегда будет выше законов, написанных в комнате и подогнанных под интересы некоторых. Определенная группа людей в Грузии не способна осознать природную закономерность. Поэтому они стремятся внедрить в своей стране плацкарт законов, действующих в зарубежных системах (США и Европа). Но логика проста: государство, которое живет по законам природы, достигает наивысших стандартов демократии.

К сожалению, «проблема желудка» в Грузии до сих пор разумно не разрешена. Бог даровал нам, как мы часто говорим, благословенную землю с народом, наделенным мудростью.

Мир знает, как ледяные земли и бесплодные пустыни без капли воды были превращены в оазисы умными властями, которые опирались на науку, поддерживали деловых людей и лелеяли свою родину. Но политика наших властей превращает оазис Грузии в пустыню. Органы местного самоуправления разваливаются из-за своего невежества. Это является преступлением властей страны превращать стольких мудрых и деятельных людей в безработных и томить их в нищете!

Но это тягостная реальность - нравится это кому-то или нет!

Обидно, что остались без внимания опубликованные в прессе многочисленные добрые советы, данные нашим духовным отцом - Илией Вторым, известными учеными и общественными деятелями.

Власти унижают и оскорбляют нас, говоря, что мы можем писать и читать все, что хотим, и что им неинтересно чужое мнение, и они сами все знают и делают, мол, все необходимое для страны.

И как это называется, если не проблемой управления? Скажем прямо – неуправляемость и безответственность! Власти меняются, народ же все больше нищает. И до сих пор никто и ни за что не ответил.

Для смены неуправляемости правильным управлением необходимо, на ответственные должности в стране пришли профессионалы с большим жизненным опытом.

Как все мы хорошо видим все власти независимой Грузии заигрывали с молодежью, скажем прямо, спекулировали их возрастом - на 10-15 лет раньше рекомендованного назначали на ответственные посты, вводили их в избирательные списки и противопоставляли старшему поколению.

Такое коварство разгромило нас: мы потеряли множество молодых, да и у старшего поколения возникли проблемы. Люди же среднего поколения оказались в страшном водовороте судьбы. Господа, в стране тотальное «разрушение мостов»! Абсолютно потерял смысл получение образования в нашей стране, теряют смысл и партии, и неправительственные организации, и прессы, и телевидение с национальным духом. Сегодня на вершине те, кто финансируются и поддерживаются из-за рубежа.

Народ поражен молчанием общественных деятелей, интеллигенции, тяжело говорить, но и государственных мужей. «Продались», - говорят нам про правительства, политиков, политически партии, продались, мол, денежным мешкам!

Но люди не верят ни продавшимся, ни купившим. И те, и другие ведут борьбу с Грузией и с грузинской духом!

Как и многие другие, я никогда не продавался, и никто не сможет купить меня, однако я вижу реальность - народ прав. Ему нужен хороший правитель, чтобы направить на правильный путь!

Мир всегда гордился, да и сейчас гордится грузинской культурой, грузинскими учеными, деятелями искусства и культуры, политиками, военноначальниками, учителями, врачами, спортсменами. Это величайшее сокровище

страны. Господа, сегодня мы нужны народу и давайте встанем с ним рядом!

Я хотел бы поблагодарить моих друзей, всех, с кем встречался почти во всех регионах Грузии, а также «Дарбази Грузинского Единства», которые и поддержали нас, и дали много добрых советов.

Мы много беседовали, затрагивая эти вопросы. Я не сомневаюсь и в том, что многие думают так же. Более того, я говорил и о том, что активно обсуждается в обществе. Говорил, потому что необходимы действия и я повторяю это не столько другим, сколько самому себе, поскольку знаю, что триумф – это победа над самим собой.

На борцовском ковре я стоял почти один на один против мировых титанов, но побеждать мне помогал грузинский дух и тщательное изучение противника. Я оставил борцовский ковер непобежденным. И в последующей жизни я являюсь успешным человеком. Но то, что происходит сегодня, не дает мне покоя. Благосостояние отдельных людей – это не путь к храму. Я хочу жить в родной стране, на родине полной счастья, нравственности и интеллекта! Многострадальная Грузия и ее население действительно заслуживает этого.

Этого не так трудно достичь, нужно лишь следующее:

- Достоинство в людях;
- Ответственность во власти;
- Политика признания и почитания в стране достойных;
- Осознание народом и в стране того, что правительство служит народу, а не командует;
- Укрепление веры в народе и стране, что спасение Родины в нас – в стране, и за границей мы должны искать только друзей, а не хозяев и спасителей.

Ради такой великой грузинской цели стоит и жить и проявлять самоотверженность.

Именно поэтому я и говорю: наша Родина и каждый из нас преуспеет великим единством Грузии.

С верой и надеждой,  
РОМАН РУРУА  
21 июля 2016 года

## რომან რუსა პოზიცია დაფიქრებისათვის

ჩვენთან დამკვიდრებული პოლიტიკური წრების აგიტაციის მთავარი ლაიტმოტივი არის ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას ანგელოზად მოაქვს თავი, იფუთება ბრწყინვალე მომავლის ავტორად, რასაც ხალხი, ამომრჩეველი მეტნაკლებად იჯერებს, აირჩევენ და ფიქრობენ, იქნებ გაგვიმართლოსო. არ დაიცალა ტყუილების გუდა. შედეგად კი ვიღებთ მოტყუებულ, იმედგაცრუებულ საზოგადოებას. ისევ იწყებს კარუსელი ტრიალს. შესაბამისად, ისევ უკან ვბრუნდებით და გადის ჩვენი ცხოვრება. ამ მოლოდინში ქვეყანა შეთხელდა. ამიტომ, სასურველია, პოლიტიკურ პარტიებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს და ჩვენს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწეროს – პარტია, რომელიც სახელმწიფოს სათავეში მოვა, ვალდებულია აღასრულოს დაპირებები და, თუ ვერ შეასრულებს, რეალურად გასამართლდეს, პასუხისგებაში მიეცეს ხალხის მოტყუებისთვის. დღევანდელი პოლიტიკური სისტემა მიუღებელია, ვინაიდან ყველა ცრუობს.



ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მარწმუნებს: დიდი სიფრთხილით შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტში შესვლისთვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს და ამავე დროს, შევეხვენოთ, სწორედ რომ შევეხვენოთ, პარლამენტზე იფიქროს ყველა იმ ადამიანმა, ვინც მართლა, რომ ჰაერივით სჭირდება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ჩვენს სამშობლოს.

„შეფუთული“, „გალამაზებული“ თვითმარქვია პოლიტიკოსები კი არა, მაღალი რეპუტაციის (I) პროფესიონალები, ცხოვრებით გამოცდილი ადამიანები, რომელთაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვაც – ეს სჭირდება დღეს საქართველოს.



გულს მიკლავს, რომ უამრავი ადამიანი ჩვენში, მათ შორის, ისინიც, რომელთა მიმართაც კეთილი განწყობის მეტი არაფერი მაქვს, დღესაც მაღალ სახელისუფლებო ეშელონებში რომ არიან, ფიქრობენ პარტიის და არა ქვეყნის გადარჩენაზე. ფიქრობენ მეგობრების, საკუთარი სტატუსის, სკამის და არა ქვეყნის გადარჩენაზე. დამწვარა ყველა სკამიც და რა ჯანდაბად გვინდა პარტიები, ასეთი მეგობრობა, თუ ხალხი და ქვეყანა ამ მდგომარეობაში იქნება?!



„კუჭის პრობლემა“ ვერ გადაწყდა გონიერებით, როგორც ხშირად ვამბობთ, ტვინით გატენილი ადამიანების და ლეთითბოძებული წალკოტის ქვეყანაში. მსოფლიომ იცის ყინულოვანი, უმიწო და უწყლო ქვეყნები, როგორ აქციეს წალკოტად ხელისუფლებებმა, მეცნიერებაზე, ნიჭიერ ხალხზე დაყრდნობით, საქმიანი ადამიანებისადმი მხარდაჭერით და ქვეყნის სიყვარულით. ჩვენი პოლიტიკით წალკოტი ხრიოკი ხდება. საკუთარი უმეცრებით დაჩარჩანაკებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. არ შეიძლება, დანაშაულია ამ ქვეყანაში ამდენ გონიერ და საქმის გამკეთებელ ადამიანს ხელისუფალთაგან მისჯილი ჰქონდეს უსაქმურობა და ტანჯვაში ცხოვრობდეს!

## „ადამიანი პუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, პუნების კანონებით უნდა იცხოვოს!“

რომან რურუას ფილოსოფია

**О**ზოში რომ შედიხარ, მაშინვე გრძნობ, ამ სახლ-კარის პატრონი თითოეული ბალახის ღერს და ბუჩქს, რომ ელოლიავება. შენც მოწინებით ადგამ ნაბიჯებს ულამაზეს ბილიკზე, რომელსაც ქართველი მოჭიდავის, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის, ორი ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მფლობელის და საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონის რომან რურუას საცხოვრებელთან მიჰყავხარ. სახლის აივნიდან ზედაზენის მთა და მისგან მონაბერი ჰაერი გივსებს ფილტვებს. თვალსაწიერზე კი, შორს, ხრიოკი კლდე ჩანს.

ასეთი იყო ეს მიდამო, ახლა წალკოტს რომ ჰგავს,— თავმდაბლად გვიხსნის ბატონი რომანი და ქვემოთ, ლამაზად გაშლილი მიდამოსკენ მიგვითითებს.

ტერასებზე მოჩანს სიმინდის ყანა. პომიდვრის, ბადრიჯნის და სხვადასხვა ბოსტნეულის ხასხასა ჩითილები, გუბურებში იხვები ჭყუმპალაობენ, ეზოში კრუხ-წინილა ფუსფუსებს, ცოტა ქვემოთ ციცრები კაკანებენ, ძროხების წინ ხბორები კუნტრუშებენ. ეს არ არის კადრები ძველი ქართული კინოფილმიდან. ეს რეალობაა, რომელსაც გულმოდგინე და თავდადებული შრომა სჭირდება და ეს რომან რურუამ შეძლო.

ახლა, როცა ყოველივე ძველის ნიველირება ხდება, ხოლო ახალი ღირებულებები ფსევდოიდეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, საინტერესოა რომან რურუას შეხედულებები, რაც ადამიანის ხელახლა გაადამიანურებისა და მშობლიური მიწის ორგანულად აღქმის სურვილებს აღძრავს.

წვიმს.



ბატონი რომანი სივრცეში იყურება და ამბობს:

იმ მთებისკენ, ზედაზენზე, არ წვიმს, მცხეთაში – თავსხმაა, ბუნებას ვუკვირდები მთელი ცხოვრება და ვიცი მისი ჭირვეულობის ამბავი. ბუნება უნდა გიყვარდეს, მისი ენა უნდა იცოდე. ბუნებას უნდა ელაპარაკო და ისიც მიგანიშნებს, როგორი ამინდი იქნება ხვალ. სწორედ ბუნებასთან ჰარმონიაში დავაფუძნე ამ ხრიოკ ადგილას მეურნეობა, რომელსაც ხედავთ.

### დედა-მიწა

ადამიანებმა დღეს მიწის ფასი არ იციან, არადა, მიწა არის შეუფასებელი, ის არის მარჩენალი. ვინ იცის სახელი „მარჩენალი“, ვინ დაარქვა მიწას, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი შეფასებაა. დედამიწა,

ასეთი დასახელება, არც ერთ ენაში არ აქვს მიწას. მას ქართველმა კაცმა დედა უზოდა, დედასთან გაათანაბრა. მიწა ჩვენი მარჩენალია, სხვა ფუნქცია მას არ აკისრია. ამ მარჩენალს კი დღეს უმოწყალოდ თელავენ, ლანძღვენ. ლანძღვაა ის, მიწას რომ აბინძურებენ და ნაგავს აყრიან. მიწა უნდა გიყვარდეს. ეს უდიდესი სიმდიდრეა. მიწას, საერთოდ, ფასი არ უნდა დაადო.

მიწის ფუნქცია მიწით ვაჭრობა არ არის. მისი ფუნქციაა – არჩინოს ადამიანი. ამიტომ ვთქვი, მიწა მარჩენალია-მეთქი. ფული რომ არ იყოს, შეგიძლია თავისუფლად იცხოვრო ისე, რომ სრულიად მოიხსნა ადამიანის უპირველესი საჭიროება – კვება.

ფულიც, რომ არ არსებობდეს საერთოდ, მიწის საშუალებით შეგიძლია ჩვეულებრივად იცხოვრო.

ეს იყო ჩემი მიზანი ცხოვრებაში – მიმელწია იმისთვის, რომ უფულოდ ცხოვრება შემძლებოდა – ისე უნდა იშრომო, რომ რადგან გაჩნდი, მშიერი არ დარჩე ამ ქვეყანაზე. ზუსტად ეს გავაკეთე და აი, ხედავთ კიდევაც ჩემს ნამოღვაწარს.

„თუ გინდა არ დამარცხდე, დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რომ მოწინააღმდეგეზე ძლიერი ხარ, მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭიროა!“

არავითარი ჩაკეტილობა, ხალხმა უნდა ნახოს, რისთვის ვცხოვრობ და რისთვის ვშრომობ ამ ქვეყანაზე. ძალლიც კი არ მყავს ეზოში. სტუმარი ისე უნდა მოვიდეს, ძალლის არ უნდა ეშინოდეს, დაუბრკოლებლად, თავისუფლად უნდა მესტუმროს.

სტუმარი ღვთისააო, ხომ გაგიგონიათ?! ჰოდა, ჩემს სახლში ხშირი სტუმრიანობაა. გეახლებით, რაც გვაქვს, რაც ჩვენი მარჯვენით მოვიპოვეთ და ვსვამთ ჩემი ხელით დაყენებულ ნატურალურ ღვინოს.

ღვინო კარგია, ოღონდ გარკვეული ღოზით.

შეჯიბრებებზე რომ მივდიოდი, ყოველთვის მიმქონდა ქართული ღვინო და, იმის მიუხედავად, რომ სპორტსმენები-სთვის ღვინის დალევა აკრძალულია, მესადილად ერთ ჭიქა ღვინოს ვსვამდი. ნორმის ფარგლებში თუ დალევ, ღვინო წამალია. ამას ვეუბნებოდი მწვრთნელებსაც. ღვინოს აქვს შესანიშნავი თვისება – გებრძვის და შენც უნდა ებრძოლო. იგი „ცდილობს“ დაგათროს, შენ უნდა ეცადო – არ დათვრე. ღვინოს უნდა შეეჭიდო, უნდა დაარწმუნო საკუთარი თავი, რომ ღვინო ვერ მოგერევა. ამ განწყობით ბევრი ძლიერი მეტოქე დავამარცხე ისე, რომ მე არ დავმთვრალვარ. მოქმედი სპორტსმენი რომ ვიყავი, იმ პერიოდში, ერთ მრავალრიცხოვან ქორწილში, მოულოდნელად, თამადობა შემომთავაზეს. თავიდან სასტიკ უარზე დავდექი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვზივარ 150-კაციანი სუფრის თამადად და მომაგონდა ცხონებული მამაჩემი. ის დიდ სუფრებზე ყოველთვის თამადა იყო. გავიხსენე, როგორ თამადობდა, მივყევი, მივყევი და „გაშრა ყელიო“, ვიღაცამ რომ დაიძახა დარბაზიდან, მაშინ მივხვდი, ყანწი უნდა დამელია და სხვებისთვისაც შემეთავაზებინა. შემოიტანეს ყანწი. ვფიქრობ: ეს რომ დავლიო, ნამდვილად დავთვრები და თუ დათვერი, რაღა თამადა ხარ?! ვუთხარი ჩემს თავს: რომან, ეს ღვინო ყანწით ერთი კი არა, სამი უნდა დალიო და არ უნდა დათვრე. დავლიე, შევთავაზე დარბაზს. დალიეს, მეორე ყანწი აქა-იქ გამოტოვეს, მესამე – არავის დაულევია. მესამივე ყანწი, როგორც იტყვიან, გმირულად გამოვცალე და თავსაც მშვენივრად ვგრძნობდი. ცხოვრებაში მაშინ პირველად ვიცევევ...

აი, რა არის შთაგონება. საკუთარ თავს უნდა შთააგონო, რომ მიზანს მიაღწევ. ასე თუ არ მოიქეცი, ერთ ჭიქას დალევ და კისერი მოგეღრიცება.

### **ბუნების კანონი**

ახლა არავის უნდა წიგნში ჩახედვა.

გაზეთის ან უურნალის წაკითხვა. ყველა მიჩერებულია ტელევიზორს, კომპიუტერს, მაგრამ მოვა დრო, ადამიანი ისევ მიუბრუნდება წიგნს, როცა მივლენ იმ აზრამდე, რომ კომპიუტერი და ტელევიზორი ადამიანს აზროვნების უნარს უქვეითებს.

აღიარებულია წიგნის უპირატესობა ადამიანის გონების განვითარებაში.

ამას, უპირველესად, ქვეყნის მმართველები უნდა მიხვდნენ, ისინი, ვინც ქმნიან კანონებს, ვინც მართავენ სახელმწიფოს. პარლამენტში უნდა ისხდნენ ისეთი ადამიანები, ვისაც, ზედმიწევნით ეცოდინებათ ბუნების კანონი.

ბუნების კანონი არის კანონთა კანონი და ეს კანონი მანამდე იყო შექმნილი, ვიდრე სახელმწიფოები გაჩნდებოდა ამ ქვეყანაზე. როცა ვკითხულობთ: ვინ და რა არის ღმერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი არის ჩვენი ცხოვრების კანონთა კანონი. იგი სულია და ჩვენს სულში ზის, ჩვენს გონებაშია. ყოველივე ამის წინაღმდეგ მოქმედებს დღეს ადამიანი.

ხშირად ვსაუბრობ ბუნების კანონზე, რაზეც ამას წინათ პატრიარქმაც გაამახვილა ყურადღება და ბუნება, ღმერთთან გააიგივა.

ვაჟა-ფშაველაც ხომ ამბობდა: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისაო...“

მაგრამ რამდენად არის გათვალისწინებული ბუნების კანონი ჩვენს კანონმდებლობაში დღეს? ალბათ, 15–20%ით. დანარჩენი ხელოვნურია ყველაფერი, ადამიანი ბუნებას აღარ აქცევს ყურადღებას, აღარ სცემს პატივს, არადა, ბუნება არის ადამიანის შემქმნელი, გამომზრდელი, მაცოცხლებელი და როგორც ვაჟამ თქვა, „მბრძანებელი“. ჩვენ კი გადასული ვართ ბუნების ღვთიური კანონების ჩვენს თავზე მორგებაზე.

ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაში ბუნებრივი კანონები მეტია, უფრო განვითარებულია და დემოკრატიული.

ვენეციის კონვენცია მიგვითოთებს, რო-

გორ ვიცხოვროთ. უძველესი ფილოსოფია კი ბრძანებს: კანონი უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას. სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი და დანერგილი კანონები ჩვენთან ვერ იმუშავებს. ვენეციის კონვენციაც იგივეა. ვერც ეს იმუშავებს. ჩვენ ჩვენს ყოფას მორგებული კანონები უნდა შევქმნათ.

უსამართლოა ყველაფერი, რაც ბუნებრივ კანონს და კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. დემოკრიტე, პითაგორა, პიპია, სოკრატე, პლატონი, ზენონი, ციცერონი და სხვა ამაღლებული აზროვნების ადამიანებიც ამ აზრს იზიარებდნენ. დღევანდელი ქართველი ფილოსოფოსებიც ასე ფიქრობენ. მათ მეც ვეთანხმები და ვფიქრობ, საზოგადოებას, როგორც მთლიან სისტემას, საკუთარი რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის თანდაყოლილი უნარი გააჩნია. საკმარისია, ამ სისტემაში ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მოგონილი ბუნებრივი კანონზომიერებისგან განსხვავებული, გაუაზრებელი კანონები დაინერგოს, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, სიცოცხლის უნარს დაკარგავს. შედეგად იმ საზოგადოებას მივიღებთ, რასაც დღევანდელი საქართველო ჰქვია.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი კი – ბუნებრივი კანონზომიერების, ანუ ბუნებრივი სამართლის უგულებელყოფა და ვიღაცის მიერ საწერ მაგიდასთან გამოგონილი სამართლის, ანუ პოზიტიური სამართლის აღზევება.

ჩვენ არ ვითვალისწინებთ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ, როგორც აბსოლუტურად იდენტური ადამიანები არ არსებობენ. ასევე გამორიცხულია ერების, საზოგადოების და სახელმწიფოს იდენტურობაც და, შესაბამისად, ამ მრავალფეროვან, განსხვავებული თვისებების მქონე სისტემაში ერთი და იმავე სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნების კანონზომ-

იერებაში, გაუაზრებელი ხელოვნური ჩარევის ტოლფასია. ასე რომ იყოს, მსოფლიოს განვითარებული სისტემის საუკეთესო იურისტებს შევკრებდით და ერთ უნივერსალურ სამართლის კოდექსს შევქმნიდით, რომელიც ყველა სახელმწიფოში უნიკალურ შედეგებს მოგვცემდა.

ადამიანების მიერ მიღებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნების, სამყაროს კანონებს. სამყარო გვაწვდის ნატურალურ პროდუქტს, ჩვენ კი ვქმნით გენმოდიფიცირებულს და ამით ვიკვებებით, რაც ნიშნავს, რომ მივდივართ ღმერთის, ბუნების წინააღმდეგ და ვისპობთ თავს. საბოლოოდ, ჩვენც „გენმოდიფიცირებული“ გავხდებით.

რამდენიმე წლის წინ, კონფერენციაზე მიმიწვიეს. ევროპის და ამერიკის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ იმ კონფერენციას. გამოვედი და პირდაპირ ვუთხარი ჩვენს მეგობრებს – აშშ-ისა და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს – ყველაფერი საუკეთესო თქვენ, ძლიერ ქვეყნებს და ჩვენ მხოლოდ ნარჩენები? საცდელი კურდღლები ხომ არ გგონივართ-მეთქი? – გაისუსნენ, ხმა არ ამოულიათ. ნაგავსაყრელად იყენებენ ჩვენს ქვეყანას.

გამოსავალი ერთია – რაც შესაძლებელია, ყველაფერი ვაწარმოოთ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ აქაც ვაწყდებით წინააღმდეგობას,. ზოგ გავლენის მქონე ბობოლას, ხალხის დაწამვლაში უნდა ფულის შოვნა, შემოაქვს საზღვარგარეთიდან კვერცხი, ქათამი, ყველი, სტაფილოც კი ისრაელიდან შემოდის, ბამბაზე გაზრდილ, ქიმიური ნივთიერებებით გაუღენთილ სტაფილოს და სხვა ბოსტნეულს გვაჭმევენ...

დღეს საქართველოში კვების პრობლემა ვერ მოგვიგვარებია. არ გვაქვს საკვები, შემოტანილი პროდუქცია არ მოწმდება და ხშირ შემთხვევაში, მავნებელია ორგანიზმისთვის.

რისთვის არსებობს სახელმწიფო სტრუქტურები? იმიტომ, რომ წესრიგი

იყოს ქვეყანაში?! კი, ბატონი, მაგრამ, რა ჰქვია იმ წესრიგს, როცა მიწის ქვეყანაში, მიწის სახელწოდება, რომ შეარქვეს ძველთაგანვე, ხალხი შიმშილობს და სხვის უვარების პროდუქციას ჭამს?!

**რით მოვიწონოთ თავი?**

**ტურიზმით?!**

საქართველო სავსეა ტურისტული ოაზისებით, თანაც სტუმართმოყვარე ხალხი ვართ. გვიყვარს სტუმრის დახვედრა. ქართველი კაცი უკანასკნელს გაიმეტებს, ვალსაც აიღებს და სტუმარს ღირსეულად დახვდება, მაგრამ ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ზოგ სტუმრისაც ეშინია. აღარაფერი აქვს, რომ გაუმასპინძლდეს, ანუ, შეიძლება, მალე ტურისტულ ქვეყანადაც აღარ ვივარგოთ. საუბედუროდ, თანდათან ვკარგავთ ყველაფერს, რაც კარგი იყო ჩვენში.

ზოგიერთი მეტყვის: სამაგიეროდ, თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართო. მაგრამ იცით თუ არა, რომ მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, არც ამერიკა და არც რუსეთი, არ არის სრულიად თავისუფალი, ვინაიდან ვალდებულებები გააჩნიათ. როგორც უკვე გითხარით, ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული.

**„ქვეყნისთვის თავგანწირვა უნდა შეგეძლოს“**

წლების განმავლობაში ვჭიდაობდი სსრკ-ის ნაკრებში და ყოველთვის მქონდა შეგრძნება – როცა ვჭიდაობდი, მარტო ჩემთვის, საკუთარი გამარჯვებისთვის კი არ ვჭიდაობდი, იმათოთვისაც ვიბრძოდი, ვინც სახლში დარჩა, დედისთვის, მამისთვის, ჩემი მიწისთვის, ჩემი ქვეყნისთვის... თავს მოვალედ მივიჩნევდი, სხვებზე უკეთესი ვყოფილიყავი.

სამშობლოა მთავარი და მისი პატრონობა ჩვენი ვალია.

**ქვეყნისთვის თავის გაწირვა უნდა შეგეძლოს.**

ამას წინათ ტელევიზიონით ვნახე, გა-

მოჰკითხეს თურმე 500 სკოლადამთავრებული – სად აპირებთ სწავლის გაგრძელებას?! ხუთასივემ განაცხადა – სიამოვნებით ვისწავლიდი საზღვარგარეთო. სწავლას რომ დაამთავრებდით, დაბრუნდებოდითო? – ჰკითხეს, 480-ს განუცხადებია – არა, საქართველოში ალარ დავბრუნდებითო.

კარგია ოქსფორდში, კემბრიჯში და სხვა პრესტიულ სასწავლებლებში სწავლა, მაგრამ შენი ქვეყანა ყველას უნდა გერჩივნოს.

ბელორუსის მმართველმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ამას წინათ განაცხადა: ახალგაზრდებს შევუწყვე ხელი უცხოეთში მიეღოთ უმაღლესი განათლება, საბოლოოდ კი ზოგი იქ დარჩა, ზოგი გზაში დამეკარგა, ხოლო ვინც აქ ჩამოვიდა, ყველა აგნენტიაო.

ვინ არიან ეს ე.წ. არასამთავრობოები? ეს ის ხალხია, რომლებიც უცხოეთიდან ანაზღაურებას ვერ მიიღებენ, თუ საკუთარი ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმეს არ გააკეთებენ. საუბედუროდ, ესენი წყვეტენ ქვეყნის ბედს და მომავალს.

## რუსეთი და საქართველო

ჩემი განვილილი ცხოვრება და გამოცდილება მაძლევს იმის უფლებას, რომ ვიფიქრო, საკუთარი მოსაზრებები გამარჩდეს და თქვენც მოკლედ გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებები ყველა იმ მოვლენაზე, რაც ბოლო ათწლეულებია ჩვენ გარშემო ხდება.

ნახევარი ცხოვრება რუსეთში გავატარე, ასე თუ ისე, ვიცნობ რუსების ხასიათს და შემიძლია გითხრათ, მაგათზე უფრო რბილი ბუნების ხალხი არსად შემხვედრია.

რუსეთი ოკუპანტიაო, სხვის ტერიტორიებს იტაცებსო, იმდენი ვუძახეთ, სანამ მართლა ოკუპანტი არ გახდა.

რატომ გახდა ოკუპანტი?

ამის პასუხად, გავარკვიოთ, რა უნდა თავად საქართველოს, რა უნდა რუსეთს, ჩრდილოეთ კავკასიას და ყველაფერი დალაგდება.

ადამიანები კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, ყოფიერებიდან გამომდინარე აზროვნებენ. მათი ხასიათი, სურვილები, მისწრაფებები ადგილობრივ ბუნებრივ კანონებთან შესაბამისობაშია ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, ვერ მოარგებ ერთსა და იმავე კანონს ყველა ერს, ხალხსა და ქვეყანას.

ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარი იმ გარანტიით გავიდა, რომ სხვა ქვეყნის ჯარი აქ აღარ შემოვიდოდა. ჩვენ კი ნატოსთან თანამშრომლობის მოლაპარაკები დავიწყეთ, აფხაზეთმა დამოუკიდებლობისკენ გაიწია, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ხალხიც მათ დაუდგა გვერდით, რადგან შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება სურდათ. რუსეთი იშლებაო და მუსლიმანურ სამყაროსაც ჩრდილოეთ კავკასიაში გაუჩნდა დამოუკიდებლობის იმედი. თუ აფხაზეთი დამოუკიდებელი გახდებოდა, აფხაზეთთან ერთად შექმნიდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხების კონფედერაციას, გამოაცხადებდნენ დამოუკიდებლობას და შავ ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებდნენ. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრად შამილ ბასაევი დაინიშნა, მას ბოევიკები შემოჰყვა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა. ზუსტად იმ პერიოდში, სტამბოლში მომიწია წასვლამ, ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან ერთად. მახსოვს, თურქეთში რუსეთის ელჩითან, ბატონ ჩერნიშოვთან შეხვედრა. ვახტანგთან საუბრის შემდეგ მეც გამიჩნდა სურვილი რამდენიმე შეკითხვა დამესვა ელჩისთვის. ვკითხე:

– რა ინტერესი აქვთ ჩეჩინებს აფხაზეთში, რატომ იბრძვიან ქართველების წინააღმდეგ?

– ზღვაზე გასასვლელი უნდათ.

რუსეთი ამას დაუშვებს-მეთქი? – ვკითხე.

ჩურჩულით მიპასუხა: არასოდეს, არასოდესო.

სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა, რა

მოხდებოდა შემდგომში, რომ რუსეთი არ დაუშვებდა ჩრდილო კავკასიის და აფხაზეთის საქართველოსთან კონფედერაციას ან სხვა რაიმე ფორმით გაერთიანებას და მათ დამოუკიდებლობას.

აი, რას ნიშნავდა ჩერნიშოვის ნათქვა-მი. რუსეთმა აფხაზეთის წართმევით ალ-ყაში მოაქცია ჩრდილოეთი კავკასია, ანუ უზრუნველყო თავისი ტერიტორიის უსაფრთხოება.

ეს უნდა სცოდნოდათ ჩვენს მაშინდელ პოლიტიკოსებს ჩერნიშოვის გარეშეც. მათმა გაუაზრებელმა ქმედებამ ის შედეგი მოგვიტანა, რაც დღეს გვაქვს.

შექმნილი სიტუაციის გაანალიზება საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ვალდებულება იყო, შეცდომებზე პასუხისმგებლობა ევალებოდა ყველა იმ ხელისუფლებას, მათ შორის კომუნისტურსაც, ვისმა არასწორმა გადაწყვეტილებებმაც ჩამოგვაშორა ეს რეგიონები. სახელმწიფოებრივი შეცდომების დროის ათვლას მე 60-იანი წლებიდან დავიწყებდი, იმ პერიოდიდან, როცა გამოჩენდა ბზარი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, გაჩნდა უთანხმოების პირველი ნაპერნკალი. ჩემი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ, იყო ასეთი შემთხვევა: გაგრა-თბილისის სამგზავრო მატარებელს სოხუმში ქვები დაუშინეს და ფანჯრის მინები ჩამსხვრიეს. ეს მოხდა გაგანია კომუნისტური წყობილების დროს. მაშინ ეს ამბავი მიიჩინა, ვითომ არაფერი მომხდარიყო. სწორედ იმ პერიოდიდან გამოდის ასპარეზზე აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი კონსტანტინე ოზგანი. ის არ იყო არც აფხაზი და არც ქართველი. დაისმება კითხვა: აბა, ვის ემსახურებოდა? ვის და რუსეთს. ჩვენ მაშინ ასე ვფიქრობდით, მაგრამ ოზგანი რუსეთის ინტერესების გამტარებელი არ აღმოჩენდა. მისი მიზანი აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან მიერთება იყო.

აი, აქედან იწყება ყველა ის უბედურება, რაც დღემდე გვჭირს, რადგან ისევ ბუნება მიგვანიშნებს ერთ რამეზე – ნაპერნკალი რომ გაჩნდება, თუ არ ჩააქრე, ხანძარი მოედება ტყეს და მთლიანად გაანადგურებს, მაშინდელი ჩვენი უშიშროების სამსახურის ყოვლად გაუმართლებელმა უმოქმედებამ მიგვიყვანა ხანძრის გაჩენამდე.

სულ რამდენიმე წელია მოკვდა ჩვენი დროის „გმირი“ კონსტანტინე ოზგანი, მაშინ, როცა სამშობლოს ღალატისთვის დახვრეტა არ უნდა ასცდენდა.

ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი ნიკოლო მაკიაველი ამბობს; სამშობლოს გადარჩენისათვის ნებისმიერი პარბაროსული ქმედებაა გამართლებული.

რა დროს დემოკრატიაა, ძმობილო, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა.

მაკიაველის ფილოსოფიის თანახმად, ბატონი ოზგანი ხანძრის გაჩენამდე უნდა გამქრალიყო ამ სამყაროდან.

აფხაზეთს მაშინ დავიბრუნებთ, კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებს თუ ჩამოვაყალიბებთ იმასთან, ვისაც ეს საკითხი ეხება. ეს არის რუსეთი, რომელიც აშკარად გვთხოვს – მე ვარ შენი მოსაზღვრე და ჩემს მტერს ნებით ნუ შემოუშვებთ ჩემს სიახლოვეს, თუ არადა, ჩემი ინტერესების მიხედვით, აფხაზეთს მივუერთებ იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, ცხინვალს და დაგტოვებთ თბილისის ამარაო.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რუსები ამას გააკეთებენ.

ახლა, ვინმებ არ იფიქროს, თითქოს მათი განზრახვის შესახებ რაიმე ვიცოდე, უბრალოდ, ვფიქრობ, ასე მოიქცევიან და მე თუ ვიფიქრე, იმათ უკვე ნაფიქრი არ ექნებათ?!

ვის მოუვიდა აზრად, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები რუსეთთან მიმართებაში სხვაგვარად წარიმართებოდა? სახელმწიფოს მართვა, უმეტესწილად, დამოკიდებულია ანალიტიკური ცენ-

ტრის მუშაობაზე, რომელიც თვალყურს ადევნებს მსოფლიოს სუნთქვას. ცენტრი აანალიზებს, რა ხდება შინ და გარეთ და რა საფრთხეების ან გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა. შესაბამისად მოქმედებს ხელისუფლებაც. თუ ანალიტიკური ცენტრები არ არსებობს ქვეყანაში, მაშინ არც სახელმწიფო არსებულა და, თუ არსებობს, მაშინ გამოვააშკარაოთ, ვინ იძლეოდა ჩვენთვის დამანგრეველ ინსტრუქციებს.

ანალიტიკური აზროვნება არის ჩვენი ხვალინდელი დღე და რომელი ქვეყანაც დღეს მასიურად გადადის ანალიტიკურ აზროვნებაზე, მომავალი მისია.

ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა ვითარების გაანალიზება უნდა ვისწავლოთ. ადრე მხოლოდ ფილოსოფიოსებს და სხვა გამორჩეულ ადამიანებს მოეთხოვებოდათ მოვლენებზე ღრმა ანალიზი. სიტუაციების ანალიზზე მასიურად უნდა დავიწყოთ სერიოზული ფიქრი.

ანალიტიკური აზროვნება ოჯახის მართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმიცაა. ანალიტიკური აზროვნების გარეშე ცხოვრება თანდათან წარმოუდგენელი ხდება.

კიდევ ვიმეორებ: მიუხედავად დეკლარირებული დამოუკიდებლობისა, ჩვენ, რეალურად, არა ვართ არც დამოუკიდებელნი და არც თავისუფლები. თუმცა ბოლომდე დამოუკიდებელი და თავისუფალი არც ერთი ქვეყანა არ არის: საქართველოში ერთი გავრცელებული ფრაზაა: თავისუფალიმხოლოდ გიჟიაო და სწორია ეს.

უნდა ვიფიქროთ, დღეს გადადგმული ნაბიჯები რას მოგვიტანს და ხვალ გადასადგმელი ნაბიჯები, რას მოგვცემს. მიღებულ შედეგებზე პასუხი უნდა აგოს სახელმწიფო მმართველობამ.

ჩვენთან დამკვიდრებული პოლიტიკური წრეების აგიტაციის მთავარი ლაიტმოტივი არის ერთმანეთის ლანდღვა-გინება, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას ანგელოზად მოაქვს თავი, იფუთება ბრწყინვალე

მომავლის ავტორად, რასაც ხალხი, ამომრჩეველი მეტნაკლებად იჯერებს, აირჩევენ და ფიქრობენ, იქნებ გაგვიმართლოსო. არ დაიცალა ტყუილების გუდა. შედეგად კი ვიღებთ მოტყუებულ, იმედგაცრუებულ საზოგადოებას. ისევ იწყებს კარუსელი ტრიალს. შესაბამისად, ისევ უკან ვბრუნდებით და გადის ჩვენი ცხოვრება. ამ მოლოდინში ქვეყანა შეთხელდა. ამიტომ, სასურველია, პოლიტიკურ პარტიებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს და ჩვენს ახალ კონსტიტუციაში ჩაინტეროს – პარტია, რომელიც სახელმწიფოს სათავეში მოვა, ვალდებულია აღასრულოს დაპირებები და, თუ ვერ შეასრულებს, რეალურად გასამართლდეს, პასუხისგებაში მიეცეს ხალხის მოტყუებისთვის.

დღევანდელი პოლიტიკური სისტემა მიუღებელია, ვინაიდან ყველა ცრუობს. საარჩევნო პროგრამა, რის გამოც ხალხმა ესათუ ის პოლიტიკური პარტია აირჩია, შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს.

დღემდე არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინც ქვეყნის სათავეში მოსულა, პასუხი არ უგია. იმიტომ გვაქვს ამდენი და ასეთი უხარისხო, უბასუხისმგებო პარტია.

რაც შეეხება კვლავ რუსეთს, ის გახლავთ უახლოესი მეზობელი და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს თუ არ გავითვალისწინებთ, იგი შეეცდება აფხაზეთი გააერთიანოს მთელ დასავლეთ საქართველოსთან და შავ ზღვა-საც დავემშვიდობებით.

ამ საშიშროების წინაშე, შეიძლება, რეალურად დავდგეთ, რადგან რუსეთი გახლავთ სახელმწიფო, რომელსაც ნახევარი მსოფლიო უწევს ანგარიშს და ეს უნდა გავითვალისწინოთ.

მომავლის პერსპექტივაში რუსეთან შეიკვრება თურქეთი, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი და რუსეთს, რომ იტყვიან, უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს.

ახლა ხშირად ისმება კითხვა: რა უნდა ჰქნას საქართველომ? რა პოზიცია დაიკავოს?

პირველ რიგში, უნდა შევცვალოთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. პარალელურად, უნდა შეიცვალოს ეკონომიკური პოლიტიკაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მრეწველობას. უნდა შევიმუშაოთ განვითარების კონცეფცია. ჩვენ გვჭირდება ძლიერი შინაგანი ჯარი. ჩვენ უნდა დავიწიროთ ნეიტრალური პოზიცია. არ დავუშვათ ჩვენს ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის ან კოალიციის ჯარი და შეიარაღება.

ამას ვინც ამბობს ახლა, იმას „მოლალატეს“, ან „რუსეთის აგენტს“ ეძახიან.

არავითარი აგენტი არაა ის, ვინც ხვდება, რა გზავნილებს უშვებს რუსეთი. ის ამბობს: იყავით დამოუკიდებელი, არ შემოვალ თქვენთან არავითარ კონფლიქტში, ჯარებს გავიყვან, ოღონდ არ განალაგოთ თქვენს ტერიტორიაზე ჩემი მოწინააღმდეგებ ბლოკის ბაზები! ჩვენ პირიქით ვაკეთებთ და მეტიც, ჩვენს ჯარს ნატოს სპეციალისტებს ვაწვრთნევინებთ.

როგორც სპორტში, ასევე პოლიტიკაში, შენზე ძლიერს არ უნდა დაეჭიდო, რადგან წაგება გარდაუვალი იქნება.

მე ვარ მსოფლიო ჩემპიონი და როგორი ჩემპიონიც ვიყავი, ცნობილია. ერთ მაგალითს მოვიყვან: ყველამ იცის, უდიდესი მოჭიდავეა ალექსანდრ კარელინი და, მიუხედავად იმისა, რომ საჭიდაო ხელოვნებაში შეიძლება მასზე უფრო ძლიერი ვიყო, მას არავითარ შემთხვევაში არ შევეჭიდებოდი. ფიზიკური სხვაობიდან გამომდინარე, ჩემი გამარჯვება მასთან შეუძლებელია და არც თქვენ მირჩევ-დით, ალბათ.

ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. ჩვენს შემთხვევაში ძალა მართავს და არა გონიერება. გონიერება ადამიანს გინდა იმისთვის, რომ ძლიერთან არ მოგივიდეს შეცდომა, აი, ეს არის სწორი გადაწყვეტილება.

რატომ ვიტკივებთ აუტკივარ თავს? არ ჯობია, მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით, მეზობლებთან?!

სარწმუნოება და დიდი რუსული ბაზარი არის ჩვენ გარშემო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიყენებთ. ვსხედვართ ნაყოფიერი ხის ტოტზე და ჩვენივე ხელით ვჭრით ამ ტოტს. ეს არ არის გონივრული საქციელი.

დაუჩემებიათ: ევროპაში და აშშ-ში გავიტანოთ პროდუქციაო. კი, ბატონო, გავიტანოთ! მაგრამ ვის სჭირდება იქ ჩვენი პროდუქცია? ევროპა-ამერიკას რად უნდა ქართული ღვინო, საუკეთესო გერმანული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიური და ფრანგული ღვინოებითაა სავსე მსოფლიო ბაზარი. ჩვენ კი ჩვენი ბაზრისთვის ვერ გვიპატრონებია. რა გვაქვს ჩვენ, რას ვაკეთებთ, რას ვაწარმოებთ, ან რა ვართ, საერთოდ? თოხს ვერ ვაკეთებთ და ბარს, ტუალეტის ქაღალდსაც ვერ უშვებთ და კიდევ დიდი პრეტენზიები რომ გვაქვს, ესაა, სწორედ, გასაკვირი. აი, ახლა, ივნისის თვე დგას საქართველოში. წადით, მაგალითად, კახეთში, ან საქართველოს სხვა რეგიონში, იქ ნახავთ ჰექტრობით დაუმუშავებელ მიწა, გავერანებულ ვენახებს. რაც დამუშავებულია, ისიც უხარისხოდ. მერე ჩადით გერმანიაში და დაათვალიერეთ, როგორ უვლიან გლეხები ვენახებს, მინდვრებს, მიწას...

ან რა დღეში გვყავს შინაური ცხოველები და ფრინველები?!..

ვისი კარნახით გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები, მრეწველობა, ეკონომიკა, არ არის საინტერესო? რუსეთსაც და უკრაინა-საც იგივე დამართეს, რაც ჩვენ. ლუკაშენკომ რატომ არ დაანგრია ყველაფერი თავის ქვეყანაში, გიფიქრიათ ამაზე?

შეცდომებზე არ გვინდა ლაპარაკი? არ გამოვა ასე. წარსული ჩვენი საზომია. შეცდომებზე უნდა ვილაპარაკოთ და გამოვასწოროთ. მის გამოსასწორებლად მთავარია, მრეწველობის განვითარების რამდენიმე კომპონენტის სახელმწიფოს, ანუ საზოგადოების ხელში დაბრუნება.

ისტორია არავის ავალდებულებს მის ცოდნას, მაგრამ არცოდნას არავის პატიობს.

**მექართველი ვიყავი ყოველთვის და ყველა  
ჯილდო, ყველა სახელი და დიდება  
საქართველოში ჩამოვიტანე, სხვისთვის  
არაფერი დამიტოვებია**

როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში შეჯიბრებებზე დავდიოდით, ცხადია, ვასპარეზობდით საბჭოთა კავშირის სახელით, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მონაწილეები ყველანი რუსები არ ვიყავით. რამდენჯერ უკითხავთ ჩემზე – ვინ არის ეს ბიჭი, ასე კარგად რომ ჭიდაობსო. პასუხი იყო: ქართველი. მე ვიმარჯვებდი და ყველა ჯილდო, სახელი და დიდება საქართველოში ჩამოვიტანე. რუსეთში არაფერი დამიტოვებია. ახლა ამბობენ: ყველა სპორტსმენი რუსი ეგონათ და ჩვენს ქვეყანას არავინ ახსენებდათ. ასე არ იყო. პირიქით, კითხულობდნენ – საიდან არის? – საქართველოდან. მაშ, კარგია, – ამბობდნენ, რადგან ქართველობა ერთგვარი სამარკო ნიშანი იყო რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც.

ჩემი სახელი არ იყო უბრალო, ანგარიშს მიწევდნენ და ეს არ იყო შემთხვევითი. სს-რკის ნაკრებში ერთდროულად მყავდა 6 კონკურენტი და ექვსივე მსოფლიო ჩემპიონი იყო, ნებისმიერ ჩემპიონატზე ნებისმიერი მათგანის მონაწილეობა დიდი პატივი იყო, მაგრამ ყველა ჩემპიონატზე მხოლოდ მე მიშვებდნენ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, რადგან ეს შეფასების უმაღლესი კრიტერიუმი იყო მაშინ და მიმაჩნია, რომ დღესაც ასე არის.

ყველაფერი, რაც გავაკეთე, რაც შევქმენი, საკუთარი მარჯვენით გავაკეთე. მე-8 კლასის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი თბილისში. ფიზიკურად ძლიერი ვიყავი. ფეხბურთს ვთამაშობდი კარგად. ერთხელ, შემთხვევით, საჭიდაო დარბაზში მოვხვდი

და რადგან ფეხბურთში ნავარჯიშევი ვიყავი, კარგი სუნთქვა მქონდა. თავიდანვე კარგად დავიწყე ჭიდაობა. სუნთქვის რეგულირების ცოდნამ შემაძლებინა დამემარცხებინა ჩემი მოწინააღმდეგები აქაც, რუსეთშიც და სხვაგანაც. სწორი სუნთქვა

აზროვნებას უწყობს ხელს. სუნთქვა არის აზროვნების დედა. თუ კარგად სუნთქვა, კარგადაც აზროვნება.

ჭიდაობაში მე ჩემი ხელწერა მქონდა. ბევრი რამ შევცვალე, როგორც ტექნიკური, ასევე ტაქტიკური კუთხით. ნიჭიც აღმომაჩნდა და ამ სამმა კომპონენტმა განაპირობა წარმატებები ჩემს სპორტულ კარიერაში. საქართველოში დღეს ადამიანი უნდა იყოს საკუთარი საქმის პროფესიონალი. უნდა იცოდეს, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ნაგვის გადამუშავება კარგად. არ იფიქროთ, ნაგავი იყოს მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. სულიერად დაბინძურებაც საზოგადოების ცხოვრების, აზროვნების და შეგნების დანაგვიანებას ნიშნავს. ყველას და ყველაფერს უნდა დაარქვა თავისი სახელი და მიუჩინო თავისი ადგილი, ანუ უნდა „გადაამუშავო“, მაგრამ ნურავის ეგონება, თუკი თვითონ კარგია, ე. ი. ყველაფერი კარგად არის. არა. კარგი მაშინ არის კარგი, როცა არსებობს ცუდი. ათვლის წერტილი თუ არ არსებობს, კონკურენციაც არ იქნება. ამიტომ მიზნად ის კი არ უნდა გქონდეს, რომ ცუდი მოსპო, არამედ ხელი უნდა შეუწყო, რომ განვითარდეს, დაგენიოს, მაშინ, როცა შენ უკვე გაცილებით წინ იქნები.

### ვწუხვარ!

ვწუხვარ, ამდენი გამოცდილება მაქვს, ცოდნა შემიძენია და ჩემს ქვეყანას არ ვჭირდები. ჭიდაობაც არ ვიცი? ესეც არ შემიძლია ვასწავლო თაობებს? ესეც არ უნდათ! სავსეა პარლამენტი ახალგაზრდებით. კარგია ეს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ არც თავისი ცოდნის და არც ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება, არადა, პრაქტიკულ გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გამოცდილება თუ არ აქვს ადამიანს, ის კარგ კანონს ვერ შექმნის. მე რომ გელაბარაკეთ ბუნების კანონზე, ის კანონი უნდა იყოს ყველაფრის თავიდათავი, ამოსავალი წერტილი და მაშინ გავხდებით წარმატებული ქვეყანა და ერო.

**ათი უნივერსიტეტიც რომ დაამთავრო,  
შეიძლება სხვაზე 10-ჯერ პი არა, უპრალოდ  
შპვიანიც ვერ იქნები, თუ პუნებამ არ გიშველა**

გამოსვლა ტელევიზიით  
18 ნოემბერი, 2016 წელი

**ი**ს, რაც ქვეყანას სჭირდება, ვერავინ გააკეთა. დღეს პარლამენტარებმა დადეს ფიცი. ფიცი რას ნიშნავს? შეიძლება დაიფიცო ან არ დაიფიცო, მაგრამ საქმე არ გააკეთო. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მართვა, როგორ ვმართოთ საკუთარი ოჯახი, პარლამენტი, სახელმწიფო. ყველა პრობლემა იწყება მართვით. ქვეყანა, რომელსაც აქვს მიწა, წყალი, მზე, ელექტროენერგიის მარაგი, ჰაერი, რატომ უნდა იყოს მშეერი? რატომ უნდა შემოდიოდეს 85 პროცენტი პროდუქტებისა თურქეთიდან, ჩინეთიდან? მიწის ქვეყანა ვართ, ბოლოს და ბოლოს ღმერთმა გვიბობა ასეთი მიწა-წყალი და ამის პატრონი რომ სხვისას ჭამდე, ეს მართლა, სირცე-ვილია. იმის ფიცი დადეს, რომ ასეთი მიდგომა აღარ იქნება. ინფლაცია არ ას-ცდება ლარს, სულ მალე ერთი დოლარი 3 ლარს გაუტოლდება, იმიტომ, რომ 85 პროცენტი პროდუქტისა უცხოეთიდან შემოდის და აქ არ იწარმოება. დოლარი გაედინება ქვეყნიდან. რა ჰქნას ლარმა? ან უნდა აიღო სესხი, როგორც სააკაშვილი აკეთებდა – 8 წელიწადში ქვეყანას 8 მილიარდი დაუტოვა და ლარს ვითომ სესხით ამყარებდა, მან იცოდა, რომ ორი ვადის შემდეგ შეიცვლებოდა და, ვინც მოვიდოდა, იმას უნდა გადაეხადა. მან დატოვა „მყარი“ ლარი, მაგრამ ვალები გადაბარა მომავალ ხელისუფლებას. ისიც ვერ უთქვამთ, რატომ იყო მაშინ ლარი მყარი

და ახლა არ არის. იმიტომ, რომ ახლა სესხის არ იღებენ. პროდუქცია კი შემოდის გარედან, თან სესხის გადახდის დროა. თუ ფული გაედინება ქვეყნიდან,. მოხდება ინფლაცია.

უდიდესი მეცნიერი, ადამ სმიტი, აი, რას ამბობს ამის თაობაზე: „ეკონომიკა ბერძნული სიტყვაა და მეურნეობას ნიშნავს. პოლიტიკა – სახელმწიფო მართვის ხელოვნებას (შესაბამისად, პოლიტეკონომია არის სახელმწიფოსსეული მართვა).“

ადამ სმიტამდე მრავალი ფილოსოფოსი ცდილობდა აეხსნა, რატომაა ზოგი ქვეყანა მდიდარი და ზოგი კი სიღატაკე-ში იხრჩობა. მარტივად, რომ ვთქვათ, ნათლად ჩანს, რომ მდიდარ ქვეყანაში, ფულის რაოდენობა მეტია. ფული მეტია იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანა ისეთ პროდუქციას აწარმოებს, რომლის სხვა ქვეყანაში გაყიდვა შესაძლებელია. თუ წარმოებული პროდუქცია მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში იყიდება, მაშინ ფული ხელიდან ხელში გადადის და მისი რაოდენობა არ მატულობს, ხოლო თუ საზღვარგარეთ გადის, ქვეყანაში ფულის რაოდენობა იზრდება. შესაბამისად, თუ გინდათ, რომ თქვენი ქვეყანა გამდიდრდეს, აუცილებლად უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება მეტი პროდუქცია გაიყიდოს საზღვარგარეთ და ასევე უნდა ვეცადოთ გარედან ნაკლები პროდუქცია შემოვიდეს“.

გენიოსი კაცი იყო ადამ სმიტი. ამდენი

სწავლულია ქვეყანაში, რატომ არ იყენებენ იმ ბრძენი ხალხის რჩევებს? ქვეყანაში გაყიდულია ბაზარი. ახლა გლეხი აღარ არის ბაზარში, არამედ მხოლოდ სპეკულიანტი. გლეხმა მიატოვა მიწაზე მუშაობა.

როდესაც საქმე არ იცი, ხალხთან, ინტელიგენციასთან, გლეხობასთან ურთიერთობის უნარიც არ გაქვს, ვერც საგარეო და საშინაო პოლიტიკას მართავ და არც მეზობელთან ურთიერთობა გივარგა. შიგნით რაღა გვივარგა? შიდა პოლიტიკაში რა არის? ხალხი უნდა დააპურო. სოფლის მეურნეობა პირველია და როგორ წარმართავ სოფლის მეურნეობას, როცა ტრაქტორი შენი არ გაქვს, თოხი არ გაქვს, ბარი არ გაქვს, შენი საერთოდ არაფერი გაქვს? კიდევ როგორ უდგას ლარს სული, თავს რის ხარჯზე იჭერს. უარესი იქნება, თუ ქვეყანა თავად არ აწარმოებს და გარეთ არ გაიტანს მეტ პროდუქციას და გარედან ნაკლებს შემოიტანს. ეს ნათქვამია. დღესაც ამას ვერავინ ვერ გადაუვა. ჩვენი არაფერი გვაქვს გასაყიდი და ლარს რას ვერჩით.

ჩვენ არ გვიშველის არც ოქსფორდი და არც კემბრიჯი. განათლება სხვა თემაა. მაგრამ ჭკუა, გონება, მართვის ნიჭი არ ისწავლება. მმართველი იბადება. ეს ადამიანისათვის ბუნების მიერ მონიჭებული უფლებაა. ათი უნივერსიტეტიც რომ დაამთავრო, სხვაზე 10-ჯერ კი არა, უბრალოდ ჭკვიანიც ვერ იქნები, თუ ბუნებამ არ გიშველა... თუნდაც იმ გლეხზე ჭკვიანი ვერ იქნბი. ვინც იცის, როგორ მოუაროს მიწას. მთელი აკადემიაა ეს ცხოვრება. გლეხმა თავისი საქმე უნდა იცოდეს, მეცნიერმა თავისი საქმე. ქალაქ-

ის მაცხოვრებელი ქარხანა-ფაბრიკებში უნდა მუშაობდეს. უმუშევრობამ წაიღო ქალაქი. თუ ვინმეს თანამდებობაზე დანიშვნა გინდა, უნდა მიხვიდე მის სახლში და ნახო, სად რა დგას და აქედან გააკეთებ დასკვნას, შეიძლება თუ არა ამ ადამიანს ვანდოთ ქვეყნის მართვა. ამას უნდა არა ოქსფორდ და კემბრიჯდამთავრებული კაცი, არამედ ის, ვისაც აქვს ხედვა და იცის, რა და როგორ გააკეთოს, თუ საზღვარგარეთ სწავლას ამხელა მნიშვნელობა აქვს, მაშინ ჩვენი უნივერსიტეტი გავაუქმოთ?!

ერთი მაგალითი: მიჩურინს ძალიან უნდოდა ყურძნის მოყვანა ციმბირში. მაგრამ ვერ მოახერხა და მიხვდა, რომ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, კანონები, რომელსაც ვიღებთ, ინგლისის თუ საფრანგეთის მოდელი გადმოგვაქვს არ იმუშავებს. კანონი უნდა მოარგო შენი ქვეყნის ინტერესებს და ხალხის ხასიათს. კანონების სასწრაფოდ მიღებაც არ შეიძლება, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იღებდნენ დროებით კანონებს, ამონმებდნენ, როგორ მუშაობდა და ერთი წლის შემდეგ ამტკიცებდნენ თვით კანონს. ვინმეს პარლამენტში შეუმოწმებია, როგორ მუშაობს რეალურად მათ მიერ მიღებული კანონები? ყველა კანონი როგორ არის ხუთიანზე შედგენილი?

ის კანონები, რომლებიც მივიღეთ, არც ერთი არ არის ბუნების კანონებთან თანხმობაში და ამიტომ არის ხელოვნური. დღეს ვცხოვრობთ ხელოვნური კანონებით. ბუნების კანონი არის კანონთა კანონი და რაც უფრო მეტია მიღებულ კანონებში ბუნების კანონი, მით უფრო კარგად ცხოვრობს ქვეყანა.

## დავძლიოთ მონური ფსიქოლოგია, ნუ ვიძნებით სხვისი ხალის შემყრე!

*/გამოხმაურება ბატონ რომან რუსას კარგად ნაფიქრალ-ნააზრევზე/*

**ქ**ატონო რომან! ადრე მე თქვენ ის-ევე გიცნობდით, როგორც მთელი საქართველო. გიცნობდით, როგორც ლეგენდარულ სპორტსმენს, დაუმარცხებელ ფალავანს, სწორუპოვარ მორკინალს, ოთხზის მსოფლიო ჩემპიონს, ორი ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელს, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონს, მაგრამ ამ ბოლო ხანს თქვენ სხვა მხრივაც წარმოაჩინეთ თავი, კერძოდ, დაუკავშირდით „ქართული ერთობის დარბაზს“ და ამ დარბაზთან შექმნილ ცნობილ ქართველ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის თავკაციც გახდით. მალე ამ საინიციატივო ჯგუფმა „ქართული ერთობის დარბაზის“ გაზეთში „ქართული“ გაავრცელა მიმართვა ხალხისა და ხელისუფლებისადმი, რომელშიც იყო მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა დაკომპლექტებულიყო მომავალი პარლამენტი. აქვე დაიბეჭდა თქვენი წერილიც, რომელიც ასევე მომავალი პარლამენტის დაკომპლექტებას ეხებოდა, ამის პარალელურად ქართველმა მყითხველმა მიიღო თქვენი უაღრესად საინტერესო, ღრმა-შინაარსიანი საგაზეთო პუბლიკაციები, ინტერვიუები და მოისმინა თქვენი ტელეგადაცემები. ერთი სიტყვით, ამ ბოლო ხანს წარმოჩნდით, როგორც ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნება, უნიკალური ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების მქონე ადამიანი.

ბევრს აღარ გავაგრძელებ!.! მინდა გამოვეხმაურო „საერთო გაზეთში“ /28 ივნისისა და 5 ივლისის ნომრებში/ დაბეჭდილ თქვენს ვრცელ ინტერვიუს ქალბა-

ტონ ირანდა კალანდაძესთან, სათაურით: „ადამიანი ბუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს“. ეს იმდენად საინტერესო ინტერვიუ არის და მასში იმდენი ფილოსოფიურ - თეორიული პრობლემაა გაშუქებული, რომ გამიჩნდა სურვილი, მე, როგორც ფილოსოფიის დარგის სპეციალისტი, მეგობრულ დიალოგში შემოვსულიყვა თქვენთან, მით უმეტეს, რომ თქვენს ინტერვიუში საკმარისად ხშირად არის ნახსენები როგორც ქართველი, ისე ძველი, ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: დემოკრიტე, პითაგორა, პიპია, სოკრატე, პლატონი, ზენონი, ციცერონი და შედარებით ახალი ხანის მოაზროვნე, მაკიაველი. სწორედ ფილოსოფიური ცოდნის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ გვსურს, გვეთქვა ქართველი მკითხველისათვის, თუ რა დიდ სიბრძნეს შეიცავს დებულება: ადამიანი არის ბუნების შვილი. ანდა, რას ნიშნავს ქალბატონ ირანდა კალანდაძის რამდენჯერმე ნახსენები „რომან რუსას ფილოსოფია“.

მაშ, ასე! დავიწყოთ თქვენი უმთავრესი დებულებით, რომ ადამიანი არის ბუნების შვილი, მისი გვირგვინი და, როგორც ბუნების შვილმა, მან ბუნების კანონის შესატყვისად უნდა იცხოვროს. დიახ, ეს ასეა! ადამიანი ღმერთისაგან ისევეა შექმნილი, როგორც მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები, როგორც მთები და ქედები /ანუ როგორც ფლორა და ფაუნა/, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ, ჯერ ერთი, ღმერთმა ადამიანი შექმნა „სახედ და ხატად თვისა“ და მეორე,

მას მიანიჭა ცვალებადი ბუნება, ანუ აქცია იგი თავისუფალ არსებად! ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რადიკალურად განსხვავებული აზრი ათეისტებისა, რომელთაც მიაჩინათ, რომ ბუნება არავის გაუჩენია. იგი ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, მაგრამ ეს საკითხის გადაჭრა კი არა, მისი გაუქმებაა და ამდენად, ანგარშგასაწევიც კი არ არის.

**მაგრამ მოდით, ისევ ბუნებას დავუბრუნდეთ!**

დიახ! ბუნება ღმერთის მიერაა შექმნილი და, შესაბამისად, მისი კანონებიც ღმერთის მიერაა დადგენილი. ამიტომაა, რომ მასში ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ის კი არადა, ადამიანები საერთოდ, რომ არ არსებობდნენ, ბუნების კანონები მაინც იარსებებდა. ამიტომაც ახასიათებს ბუნების კანონებს ობიექტურობა, ზოგადობა, არსებითობა და აუცილებლობა. ის გარემოება, რომ ნებისმიერი ბუნების კანონი რომელიმე მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული / ვთქვათ, ნიუტონის კანონი, კანტ-ლაპლასის კანონი, ჯოულ-ლენცის კანონი და ა.შ./, იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ამ მეცნიერის მიერაა შექმნილი, არამედ იმას, რომ ბუნებაში არსებული ეს კანონი ამ მეცნიერმა აღმოაჩინა. ვიმეორებ, აღმოაჩინა და არა შექმნა ან გამოიგონა. ახალი სინამდვილის შექმნა მხოლოდ ხელოვანს ხელეწიფება, გამოგონება კონსტრუქტორის საქმეა, მეცნიერი კი აღმოაჩინს იმას, რაც ბუნებაში ისედაც იყო, ოღონდ ბუნების კანონზომიერების სახით.

ყოველი ახალი კანონის აღმოჩენა ამ-დიდრებს ადამიანთა ცოდნას, აფართოებს მათ თვალსაწიერს. ამიტომაც ამბობდა ფილოსოფოსი ჰობსი: „ცოდნა ძალააო“. შესაბამისად, რაც მეტი ცოდნა აქვს ადამიანს, მით უფრო ძლიერია იგი /ცხადია, გონებრივად, ინტელექტუალურად/. კანონების ცოდნა ხელ-ფეხს უხსნის ადამიანს ბუნებასთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად. ამიტომაც ცამდე

მართალი ბრძანდებით თქვენ, ბატონო რომან, როცა ამბობთ, რომ ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, ჯიბრში კი არ უნდა ჩაუდგეს ბუნებას, მისი გარდაქმნა-გადაკეთება, ანუ, როგორც ახლაა მოდაში, მისი „დაჩმორება“, დაბრიყვება კი არ უნდა მოინდომოს, არამედ, ბუნების კანონების ცოდნა და ამ კანონების შესატყვისად მოქმედება უნდა დაისახოს მიზნად ან თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნების სიყვარული და მისი ენის გაგებაა საჭირო.

სამწუხაროდ, ადამიანთა დიდმა ნაწილმა ვერ გააცნობიერა ის ჭეშმარიტება, რასაც თქვენ ძალიან ხშირად უსვამთხაზს, რომ ბუნება არის ადამიანის შემქმნელი, გამომზრდელი, მაცოცხლებელი და მასთან უაზროა, დასამარცხებლად წინასწარ განწირულია ბრძოლის გამართვა, მაგრამ ბრიყვმა ადამიანებმა ეს ბრძოლა მაინც გამოუცხადეს მას და შედეგიც მყისიერად მიიღეს: ბუნებამ მწარედ იძია მათზე შური /რაზედაც მათ ჯერ უან უაკ რუსო, მერე კი ენგელსი აფრთხილებდა/.

ბატონო რომან! ჩემს გაოცებას და იმავდროულად აღტაცებას ის იწვევს, რომ თქვენ სრულიად მარტივი ახსნა მოუქმნეთ იმ პრობლემას, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს ანუსებს და სასოწარკვეთილებაშია აგდებს. ლაპარაკი ეხება ბიოსფეროს /ჰაერის, წყლისა და მიწის/ დაბინძურება-გაფუჭყიანებას. ფილოსოფოსები თავს იტეხენ ამ პრობლემის ასახსნელად, ეძებენ იმ მიზეზებს, რომელმაც ადამიანის მანქურთად, რობოტად, უსახო მასად, „ჰომო ფაბერად“ ქცევა გამოიწვია. თქვენ ამის მიზეზად ადამიანის ღმერთთან და მის მიერ შექმნილ ბუნებასთან დაპირისპირება დაასახელეთ. თქვენ იგი ახსენით იმ უმადურობით, რომელიც ადამიანებმა გამოიჩინეს ღმერთის მიმართ. საქმე ისაა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა არა როგორც ქაოსი, არამედ როგორც კოსმოსი, სადაც ყველაფერი ურთიერთჰარმონია-შია. და ეს ყველაფერი /წყალიც, ჰაერიც,

მიწაც/ შექმნა ადამიანისათვის, როგორც უმაღლესი და უპირველესი ლირებულება. უფრო მეტიც, საოცარ ჰარმონიასთან ერთად, ფერთა საოცარი სიუხვითაც სრულყო იგი / გავიხსენოთ გენიალური რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის მესამე სტრიქონი: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ცხოვრება, გვაქვს უთვალავი ფერითა“/. ადამიანმა კი არნახული უმაღლერობა გამოიჩინა და ჰაერი ნაირნაირი გამონაბოლქვებით შერყვნა, წყალი – ნავთობით, საკვების ნარჩენებითა და ფერალური მასებით „გააჯერა“, მიწაც უამრავი ნიტრატით გაუღინთა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: დაბინძურებული ატმოსფერო /ნახშირორუანგის ზრდა უანგბადის შემცირების ხარჯზე, დელფინებისა და მაზუთში ამოთხვრილი პინგვინების საპროტესტო ამოსვლები ზღვიდან და ა. შ. გამოდის, რომ რაც ჩვენ დღეს გვჭირს, ისევ ჩვენი ბედოვლათობით გვჭირს. არა! არავინ ამბობს, რომ უარი ვთქვათ მანქანებსა და თვითმფრინავებზე მათი გამონაბოლქვების გამო, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამქვეყნად ადამიანზე ძვირფასი არაფერია და ამიტომაც არ უნდა ვაქციოთ ტექნიკა მიზნად, ხოლო ადამიანი - საშუალებად.

ბატონო რომან! მე განცვიფრებული ვარ მიწასთან თქვენი დამოკიდებულებით. როგორც თქვენ ბრძანებთ, ყველაზე მეტი, რაც ღმერთმა ადამიანს მისცა, არის მიწა. ალბათ, არავინ იცის, როდის ეწოდა მას „მარჩენალი“, მაგრამ ბრძენმა ქართველმა ხალხმა ამ ერთ სიტყვაში უდიდესი სიბრძნე და შინაარსი ჩააქსოვა. „მარჩენალი“ თავისი შინაარსითა და მასშტაბებით ისეთივე სიტყვაა, როგორიც „საწუთო“ და „წუთისოფელი“!

და ახლა თქვენ, როგორც ბრძენი კაცი, ეუბნებით ადამიანებს: ადამიანებო, გაიცნობიერეთ მიწის ფასი! შეიყვარეთ მიწა, დააფასეთ იგი! მოუარეთ მას ისე, როგორც ახალშობილს უვლის საკუთარი

დედა! ზუსტად ასე, ბავშვივით უნდა მიწას მოვლა, ზრუნვა, დაბანვა /მორწყვა/, დავარცხნა /დახვნა, დათესვა, გამარგვლა, გამოროდება/ და ა. შ. თქვენ იმასაც ამბობთ, თუ მიწა გაქვს, გამოდის, რომ ყველაფერი გქონია იმისათვის, რომ ჭამო და სვა, იმდენი მოსავალი მიიღო, რომ თავადაც იმყოფინო და სხვასაც უწილადო

მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ქართველი ხალხი, ეს უძველესი მიწათმოქმედი ხალხი მსოფლიოში, ხალხი, რომლის ქვეყნის სახელწოდებაც კი მიწიდან მოდის / გეორგიანელები / დღეს მიწას არ ან ვერ უვლის, ვერ პატრონობს.

რა ხდება? როგორ უნდა აიხსნას ეს უცნაური მეტამორფოზა?

საქმე ისაა, რომ საქართველომ ისე მოულოდნელად მოიპოვა თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც /ფორმალურად მაინც/, რომ ქართულმა ცნობიერებამ სათანადო ტრანსფორმაცია ვერ მოასწრო. ჩვენმა ადამიანებმა ვერ გაიცნობიერეს, რომ ახლა მიწა მათია / ე. ი. ჩვენია/ და მას უბრალოდ ცქერა და ამ ჭვრეტით დატკბობა კი არ უნდა, არამედ მოვლა-პატრონობა, დამუშავება, დახვნა, დათესვა, დაბარვა /ანუ ისე მოპყრობა, როგორც ამას თქვენ აკეთებთ, ბატონო რომან!/. ერთი სიტყვით, საჭირო იყო შეცვლილიყო დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი. კი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეიცვალა. ასევე არ შეიცვალა ადამიანთა დამოკიდებულება მიწისადმი. უნდა დაძლეულიყო, მაგრამ ვერ დაიძლია სხვისი ხელის შემყურება, უნდა გარდაქმნილიყო, მაგრამ ვერ გარდაიქმნა ძველი მონური ფსიქოლოგია, ძველი მენტალიტეტი. ყველაფერი ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საჭირო იყო კიდევ ერთი ახალი რევოლუცია, ოღონდ სოციალური კი არა, არამედ რევოლუცია ჩვენს თავში, ჩვენს ცნობიერებაში, საჭირო იყო ღირებულებათა რადიკალური გადაფასება, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. ბუნებრივად დადგა კითხვა: რაკი

ხალხი თავად ვერ ახერხებს ამას, ვინ უნდა დახმარებოდა ამ საქმეში ადამიანებს, ვის უნდა შეეტანა მათში სათანადო ცოდნა-განათლება?!

ცხადია, ასეთი რამ, პირველ რიგში, ხელისუფლებას ევალებოდა. ხელისუფლებას, რომელიც ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში მართოს ხალხი, სწორი მიმართულება და გეზი მისცეს მას! მაგრამ ეს არ შეუძლია ყოველგვარ ხელისუფლებას. ხალხთა მასის სწორი მართვა მხოლოდ ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია. სამწუხაროდ, ძველი ხელისუფლება /სააკაშვილის ხელისუფლება/ გამოკვეთილად ანტიეროვნული, სოროსისეული ხელისუფლება იყო, მაგრამ, მთელი ტრაგედია ისაა, რომ არც ახალი ხელისუფლება დგამს ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს. ის კი არადა, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ზოგი წარმომადგენელი იმასაც კი ამბობს: მართალი გითხრათ, მთლად კარგად არ ვიცი ეროვნული ცნობიერება რა არის, მაგრამ, მე მგონი, მთლად კარგი რამე არ უნდა იყოს. არადა, თავად იგი სწორედ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელია და არა, ვთქვათ, „მსოფლიო ხელისუფლების“.

ბატონო რომან! ასე მივადექით მიწის სიყვარულიდან ქვეყნის სიყვარულს და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან საკუთარი მიწა-წყლის სიყვარული საკუთარი ქვეყნის მიწა-წყლის სიყვარულიცაა იმავდროულად და პირიქით. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ხელისუფლება არ გვყავს. არა გვყავს იმიტომ, რომ ეროვნული ხელისუფლების უმაღლესი საზომი ეროვნული ინტერესების დაცვა, ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ეროვნული სიამაყის გრძნობის განმტკიცება უნდა იყოს და არა იმის უეჭველი აღსრულება, რასაც გვიბრძანებს, ვთქვათ, ვენეციის კომისიის ხელმძღვანელი ბუკიკიო, ან ქართული რეალობის, ქართული ბუნების, ქართული ხასიათის, ქართული

მენტალიტეტის არმცოდნე რომელიმე უცხოელი. ამასთან დაკავშირებით, თქვენ, ბატონო რომან, მოგყავთ ლუკაშენკოს მაგალითი: „მე არ ვიცი, როგორი ხელმძღვანელია ლუკაშენკო, მაგრამ ფაქტია, რომ ის სხვის დაკრულზე არ ცეკვავს, უცხოელებიდან მხოლოდ იმ შენიშვნებს იღებს, რაც მის ქვეყანას სჭირდება და გამოადგება. დარწმუნებული ვარ, მას ბევრი მწარე შენიშვნა მიუღია, იქნები იმაზე მწარეც, რაც ბუკიკიომ გაუბედა და აკადრა ჩვენს ხელისუფლებას /წესით, ჩვენ, რომ მართლა დამოუკიდებლები და თავისუფლები ვიყოთ, ეს ვერ უნდა გაგიბედონ, ვერ უნდა გაკადრონ/ მაგრამ ის დღესაც ხელმძღვანელობს ბელორუსს და, როგორც ამბობენ, მისთვის ყურებზე ხახვიც კი არავის დაუჭრია“.

ჩვენ რომ ასეთი ხელისუფლება გვყოლებოდა, შევარდნაძიდან დაწყებული დღემდე, არც მამის სახელს ამოიღებდა იგი პასპორტიდან და არც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებდა.

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ დღეს-დღეობით საქართველოს არა ჰყავს ეროვნული ხელისუფლება. მაგრამ რა იქნება ხვალ?! სანამ შეიძლება გაგრძელდეს ასე? ნუთუ, საქართველო არაა ღირსი, რომ ეროვნული ხელისუფლება ჰყავდეს? ამ კითხვაზე თქვენი პასუხი სრულად ემთხვევა „ქართული ერთობის დარბაზის“ მეცნიერთა პოზიციას, ვისაც მიაჩნია, რომ აუცილებელია მთელი სისტემის ძირეული შეცვლა, რაც გულისხმობს არჩევნების წესით ისეთი ხალხის მოყვანას ხელისუფლებაში, რომლისთვისაც საქართველო იქნება უპირველესი ღირებულება და უმაღლესი მიზანი. ეს ის ადამიანები უნდა იყვნენ, რომელთაც უყოყმანოდ შეეძლებათ /ცხადია, საჭიროების შემთხვევაში/ ქვეყნისთვის თავის განირვა და უკვე აქვთ დიდი ღვაწლი განეული საქართველოსათვის, მისი კულტურისათვის, ხელოვნებისათვის, სპორტისათვის და ა. შ. რაც შემეხება პირადად

მე, ამ საქმეშიც თქვენი მომხრე და მხარდამჭერი გახლავართ, რის დასტურადაც ამ რამდენიმე დღის წინ “ლიტერატურილ საქართველოში“ დაბეჭდილი ჩემი სტატია შემიძლია დაგისახელოთ, რომლის სათაურია: „მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება თუ გადგვარჩენს“. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ბატონო რომან! თქვენს ინტერვიუში საინტერესო მსჯელობაა გაშლილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებზე, დემოკრატიასა და თავისუფლებაზე, მაგრამ ერთ საგაზეთო წერილში ამ ყველაფერზე მსჯელობა შეუძლებელია. ამიტომ, თქვენი ნებართვით, აქ მეტს ალარ გავაგრძელებ იმის იმედით, რომ ჩვენი დიალოგი ცხოვრებისეულ პრობლემებზე /მათ შორის, ფილოსოფიურ-კულტუროლოგიურ პრობლემებზე/ ამით არ დასრულდება და სხვა დროსაც გვექნება მისი გაგრძელების საშუალება. ამჯერად კი დაგემშვიდობებით. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ საინტერესო ინტერვიუსთვის, რომელიც თქვენ ქალბატონ ირანდა კალანდაძეს მიეცით და რომელმაც მე თქვენთან დიალოგის გამართვის ბიძგი და სტიმული მომცა.

დიდი პატივისცემით,  
რევაზ ბალანჩივაძე

P. S.

ბატონო რომან! ახლა, როცა ჩვენი დიალოგი დასრულებულია, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა თქვენზე, როგორც მეურნე, მინათმოქმედ, გამრჯე და მშრომელ ადამიანზე. უფრო ზუსტად, ჩემი აღფრთოვანება გამოვხატო ყველაფერი იმით, რაც მე ჩემი თვალით ვნახე თქვენს წალკოტად ქცეულ მამულში. მიმართია, რომ თქვენ ხართ საუკეთესო /იქნებ, იდეალურიც კი/ ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში მცხოვრები, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პოსტსაბჭოელი

წარმატებული ადამიანი /გნებავთ, ფერმერი/. თქვენ, ბატონო რომან, თქვენი ცხოვრების წესით, რომელიც ნამდვილად სანიმუშო და მისაბაძია, აჩვენეთ ის, თუ ახალ ვითარებაში, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში, როგორ უნდა შეიცვალოს საკუთარი ქვეყნისადმი /რომელიც საკუთარი სამოსახლოთი, საკუთარი კარ-მიდამოთი, საკუთარი ბოსტნითა და ვაზით იწყება/ დამოკიდებულება. თქვენ ხართ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოუარო საკუთარ საცხოვრისს, საკუთარ სამოსახლოს, როგორ უნდა აქციო ხრიოვი მიწა ნამდვილ წალკოტად, ამქვეყნიურ სამოთხედ.

მხოლოდ მაშინ, როცა უმეტესი სამოსახლო და კარ-მიდამო ისე მოვლილი და ნაპატრონები იქნება, როგორიც თქვენია, როცა ბევრი ქართველი ისეთივე გამრჯე, მუყაითი და შრომისმოყვარე იქნება, როგორიც თქვენ ბრძანდებით, სწორედ ისეთ საქართველოს მივიღებთ, როგორზეც ჩვენ ვოცნებობთ. მე მიმართია, რომ სწორედ ეს არის საქართველოს გაბრნებინების ყველაზე სწორი და რეალური გზა!

თუ ასე არ მოვიქცევით, თუ ისევ სხვათა მოიმედენი ვიქნებით, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ისევ ლარიბ-ლატაკები, უმწეონი და სხვისი ხელის შემყურენი დავრჩებით . კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არავინ გააკეთებს და თუ გააკეთებს, გააკეთებს თავისთვის და არა ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის!

### რევაზ ბალანჩივაძე

პროფესორი, ფილოსოფიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

# მოქმედების მანიფესტი

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო!



პართავი ერთობის დარბაზი

**ჩ**ვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, რომელთაც გვაერთიანებს დიდი ქართული მიზანი: „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, „ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით, ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ დღეს ქვეყნისათვის უმთავრესია: ქართული აზროვნების დამკვიდრება, ყოველივე ქართულის დაცვა, ყოველივე ქართულის განვითარება.

„**ქ**ართული“ — ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას, ვინაიდან ის თავისი არსით, შინაგანი ბუნებით, შორს დგას, როგორც კოსმოპოლიტიზმისაგან, ისე ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი ნაციონალიზმისაგან.

„**მ**არბაზი“ — ნიშნავს ერთგულებას ფესვებისადმი და მექანიზრებითობას ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინანდელი დარბაზის პრინციპებისადმი, რაც გახლდათ ღირსეული მცდელობა სახელმწიფო აზროვნებაში და მშართველობაში პარლამენტარიზმის დანერგვისა.

ჩვენ გვაერთიანებს ბიბლიური სიბრძნი: მთავარში — ერთობა, სადავოში — თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული.

**ჩ**ვენ შეიძლება ბევრი რამით განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან: ასაკით, მსოფლმხედველობით, მრწამსით, ეროვნული კუთვნილებით, სოციალური მდგომარეობით... მაგრამ მთავარში, სამშობლოში, გვაქვს ერთობა და ერთნი ვართ იმაში, რომ ჩვენი მოქმედების საფუძველი იქნება სიყვარული.

„**ქ**ართული დარბაზი“ გახლავთ საკრებულო იმ ადამიანთა, რომელთაც გული შესტკივათ ქართული აზროვნების გასაჭირის გამო. ის არ არის მხოლოდ საკუთრივ ქართველთა საფიქრალი და არ შემოიფარგლება ეთნიკური ქართველებით.

**გ**ანა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

**გ**ანა შეტევა ქართულ ეკლესიაზე, ქართულ ენაზე, ქართულ ტრადიციებზე, საერთოდ ქართულ კულტურაზე მისი ფართო გაგებით, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

**გ**ანა ის, რომ საერთაშორისო მასშტაბით დღემდე არ განმტკიცებულა ქვეყნის სახელწიფება „საქართველო“, ის, რომ ანტიკური კოლხეთისა

და ბრწყინვალე ივერიის მემკვიდრე საქართველო დღეს სხვადასხვა ენაზე ათასგვარად იწოდება, ვინაიდან ვერ შევძელით მსოფლიოსთვის გვემცნო და დაგვემკვიდრებინა სახელმწიფოს სახელწოდება ძირძველი ერის ენაზე, რაც არაერთმა ერმა თუ სახელმწიფომ მოახერხა, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

**გ**ანა ის, რომ დღემდე კონსტიტუციურად ვერ დავადგინეთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებული ყოველი ქართველი, ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე იურიდიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ, რადგან არც ქართველს, არც აფხაზს არასოდეს ჰქონია სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

**გ**ანა ის, რომ საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტაციებად იქცნებ ტელევიზიები, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

**გ**ანა ის, რომ ათწლეულებია, რეალურ კოლონიზაციონს მეგობრად და მოჩვენებით ბელადს მხსნელად აღვიქვამთ, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

**გ**ანა ის, რაც ოც წელზე მეტია, უგულებელყოფილია – პროფესიონალიზმი, გამოცდილება, კეთილსინდისიერება, ქვეყნისადმი ერთგულება, შეცვლილია ხელისუფალთათვის ერთგულებით და ქვეყანა იმართება ემოციით, სუბიექტური მოსაზრებებით, რომ სახელმწიფო არ არის ორიენტირებული ძლიერზე, რომ ამის შედეგად ქვეყანა აცდაბუნებრივი განვითარების გზას და ევროპა – აზიის გზაჯვარედინზე მდებარე დიდი ისტორიის ქვეყნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ერთვექტორული გახდა, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

**ყ**ოველივე აღნიშნული ჩვენი აზრით, განპირობებულია ორი უმთავრესი პრობლემის არსებობით:

**პ**ირველი პრობლემა, ძირითადად, ქვეყნის გარეთაა და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვერ შევძელით გარე სამყაროს, უპირველესად, დემოკრატიულ მსოფლიოს რეალურად ვაჩვენოთ ქართული სახელმწიფობრიობის დიდი ისტორია, მისი დემოკრატიული ბუნება. ამის შედეგია, ერთი მხრივ ის, რომ დემოკრატიულმა მსოფლიომ არათუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში, ხალხის დემოკრატიული ბუნება, არამედ გვიყურებენ, როგორც განვითარებად, ზოგჯერ კი, როგორც განუვითარებელ ქვეყანას და ამიტომ გვექცევიან, როგორც ნეოკოლონიალურ სახელმწიფოს. მეორე მხრივ ის, რომ უკვე საუკუნეებია, რეალურ კოლონიალისტებს აღვიქვამთ მეგობრებად.

**მ**ეორე პრობლემა ქვეყნის შიგნითაა და მდგომარეობს იმის გაუცნობიერებლობაში, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავალი – ეს არის თავისუფალი ადამიანი... ყოველ ადამიანს გვაქვს ღვთისაგან ბოძებული უფლებები: სიცოცხლის უფლება, სიტყვის უფლება, საკუთრების უფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფების უფლება... ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს. ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის: საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, ყოველი ადამიანი აცნობიერებდეს ბიბლიურ შეგონებას „თავისუფლებისათვის გაგანთავისუფლათ ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები“...

**გ**ულის სითბოს და აზრის ნათელს ქართველთა, მზე – საქართველოს, აზროვნების გასაჭირის ავი

ღრუბელი შემოხვევია და ძველებურად ვეღარ ანათებს, ვეღარ ათბობს, ვეღარ ბრწყინავს.

**¶**ღეს „საქართველო დაჭრილი მზეა“ !!!

**გ**იუხედავად მცდელობისა, ქვეყანა განვი-თარებულიყო ცივილიზებულ სამყაროში მიღებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად — ქვეყანაში სისტემური კრიზისია.

**ჩ**ვენ გაგვიძლიერდა იმის შეგრძნება, რომ ერთ დღემდე ვერ გახდა ქვეყნის პატრონი. საქართველო კვლავაც იმართება ქვეყნის გარე ძალების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ. ქვეყანას მორიგეობით განაგებენ, ძირითადად, გარედან თავსმოხვეული, საგანგებოდ გაწვრთნილი არაქართული ცნობიერების სუბიექტები.

**რ**აც არ გვაკლია, ეს არის ქვეყნის გარე ძალათა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია — ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები.

**ქ**ართული ცნობიერება, ქართული აზროვნება, ქართული მორალი დაუნდობლად ფეხქვეშ ითელება და იცვლება ყალბი ფასეულობებით.

**ბ**ოლო ოცი წლის განმავლობაში, ჩვენს ხელისუფლებას ცივილიზებული მსოფლიოსაგან მოაქვს ის, რაც გვანგრევს და უარს ამბობს იმ გამოცდილებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა.

**ყ**ველაფერ ამაში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში, ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მისცეს საშუალება, გაქცეულიყო პოლიტიკაში. ჩვენ არ მოგვწონს გზა, რომლითაც ქვეყანა მიღის

20-ზე მეტი წელია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, რადგანაც უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა შედის.

**ი**ნტელექტი და ბიზნესი — აი, ორი საყრდენი, რომელსაც არ გააჩნია საბოლოოები და რომელთა წყალობით უნდა მოხდეს საქართველოს სრული რეინტეგრაცია მსოფლიოს ერთა დიდ ოჯახში.

**ქ**ვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფოს მმართველობის პროცესში ის ადამიანები უნდა შემოვიდნენ, ვისი მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომები ყველაფრისადმი, მათ შორის რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

**ჩ**ვენ გვინდა, რომ ყველას ვუთხრათ: უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადასარჩენად. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ სამართლიანობის დადგენის უაზროდ გაჭირებულების ფონზე ჯიუტად გრძელდება ერის წინაშე დამნაშავე „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციისა და მასთან კოპაბიტაციის რეჟიმი, რაც სულ უფრო ხელშესახებს ქმნის „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოჩენას და ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროებას.

**ყ**ოველ დროში, სახელმწიფო კაცები, ერის მამა — დიდი ილია ფიქრობდნენ ისეთ საქართველოზე, სადაც ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება — ხელისუფლებას მართავს საზოგადოება — საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა. სწორედ ეს არის მეცნიერული და ეროვნულ — სახელმწიფოებრივი აზროვნების შერწყმა, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ შექმნა დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიის დაარსებით.

**ქ**ართული სახელმწიფო ბრიობის 30-საუკუნო-ვანი ისტორია დასტურია იმისა, რომ ჩვენ ვიდექით ცივილიზაციის სათავეებთან და მუდმივად ვიყავით ცივილიზაციის მწვერვალზე.

**მ**ემკვიდრეობითობის ამ ქართული განწყობიდან გამომდინარე, „ქართული დარბაზი“:

**ქ**რთი მხრივ, ეს არის — უფროსი თაობის ანდერძი შემდგომი თაობებისადმი: „გიყვარდეთ

საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!“

**მ**ეორე მხრივ, ახალგაზრდა თაობებისათვის, ეს არის ქართული კულტურის, ქართული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნება გლობალიზაციის ურთულეს და უმძიმეს პერიოდში.

**ყ**ველას კი გვაერთიანებს — საქართველო უპირველეს ყოვლისა!

## მოქმედების დრო!

რეზო ჩხეიძე

რომან რუსა

თემურ გუბაშვილი

აზოვორ ერეომაიშვილი

თარიელ ხარხელაური

გიგა ბათიაშვილი

ომარ მხეიძე

გივა თოიძე

რამაზ ყურაშვილი

დოკუმენტის შექმნა დაიწყო დიდი მოღვაწის, მექანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის მონაწილეობით, მის მიერვე შექმნილ კულტურის ცენტრში „მუზა“. დოკუმენტის პირველი განხილვა შედგა 2014 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, „ქართული დარბაზის“ დამფუძნებელთა შეკრებაზე.

დოკუმენტი მიღებული იქნა გელათში, გელათის აკადემიის ისტორიულ კომპლექსში, 2015 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს.

მხარდაჭერილია „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის თბილისის, ბათუმის და გორის სესიების მიერ.



ტარიელ ხარხელაური, რომან რურუა, ნუგზარ ბაგრატიონი.  
გელათი. 2015 წლის 8 თებერვალი. დავით ალმაშენებლის ხსენების დღე.

### **ბატონი რომანის საყვარელი ლექსი. გელათში მისი მოსმენის შემდეგ ყველას გასაგონად თქვა: დღევანდელობა**

ბლავილი ამყვა ამ დილით  
გამოღადრული ყელის,  
ქართველობა ადვილი  
არაგველობა ძნელი.  
შუბლზე მზის მაწევს ნაგრილი  
როგორც ნარწყევი გველის,  
წიწამურია ადვილი  
ილიაობა ძნელი.  
ან კი ვის რაღად ვემდური  
ამას დუშმანიც გვამჩნევს,  
სხვის ომში გამარჯვებულებს  
საკუთარ ომში ლაჩირებს.

ვერ მიერთგულე ვერასდროს  
დადედლებულო გულო,  
სხვათა ომებში ბელადო  
შენი მამულის წყლულო.  
ფიქრო, ეჭვებით დაღლილო  
ცავ, დაბზარულო ცრემლით,  
ბაზალეთია ადვილი  
დიდორი არის ძნელი.  
ბუბუნით წამცდა იორი  
ოდნავ ამართა წელი,  
ტახტზე ფიქრია იოლი  
დავითობაა ძნელი.











აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე



ბიძინა ივანიშვილი



ნონა გაფრინდაშვილი



ძეგლისტები ფილმის, „მორინალი“-ს, ჩეგნების შემდგომ



გონა ქასოხოვი



ომარ მხეიძე, გვიორის თოიძე, თემურ შაშიაშვილი



გოგი თოფაძე



ვლადიმერ კანდელაკი, ზურაბ ფილიპაძა



ჯუმბერ პატიაშვილი



მანუჩარ მაჩაიძე



გუჯა ბურლული, ტარიელ ხარხლაური, ირინა თურქია



ლევან თელაშვილი



ქართველი მხატვრები




მეგობართა სუფრა



ჯამლეთ ზუხაშვილი



გაუა აბაკელია



პატია ნაცვლიშვილი



თექლა მელაძე



სერგეი ბუბკა, ვიქტორ სანგვი, ვალერი ბორზორე



შშობლებთან და ძმასთან



ძმები - შურდუხ და რომან რურუები



ოჯახთან ერთად



შშობლები — კლადიმერი და ზინა



ბედნიერი წყვილი




ქალიშვილი ქეთი და მისი მეუღლე გიგა გაბუნია



რძალი - ელენე, შვილიბთან ზინა და ლილე



ქალიშვილ ქეთისთან ერთად








შვილიშვილ დეასთან ერთად



ომარ მხეიძე — რურუების ოჯახი



ქალიშვილი ქეთი და შვილშვილები — მარინა, დეა, ზინა და ლილე





## ძალა და იმედი ერთ სურათში

1968 წელი. მეხიკო (მექსიკა).

ოლიმპიური თამაშების ბოლო ოქროს მედალზე რომან რურუა ელოდება გამოძახებას, დარჩენილია 15 წუთი.


კლასიკური ჭიდაობის 8 მსოფლიო ჩემპიონიდან 7-მა დაამთავრა ასპარეზობა. არცერთი ოქროს მედალი. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. აშვარად ჩანდა განწყობა, საბჭოთა გუნდი დაეტოვებინათ ოქროს მედლის გარეშე: რომან რურუა შეჯიბრის განმავლობაში 3-ჯერ გაისინ-ჯა დოპინგზე. ქართველი ფალავანი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი ხდება.

## ... მსოფლიო კონგრესი

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, ბატონი რომან რურუა ადასტურებს დიდ პატივისცემას ბატონი მერაბ ბერძენიშვილისა და ბატონი რეზო ჩხეიძის ინიციატივისადმი და საზოგადოებას წარუდგენს წინადადებას შოთა რუსთაველის 850 წლისთავის აღნიშვნისა და ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის ორ ეტაპად ჩატარების თაობაზე:

პირველი – მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის, 60-ზე მეტ ქალაქში, სადაც ისტორიულად, თუ ბედის უკულმართობის გამო ცხოვრობს ქართველობა, საქართველოს მოქალაქები.

მეორე – საქართველოს ყოველ კუთხე-კუნძულში დასკვნითი ნაწილით თბილისში გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს.



## ქართებილება ჩვენი ძმობა და მემკრობა ვერ შეარყია

(ვიქტორ იგუმენოვი, რომან რურუა, გენადი საპუნოვი)

რომან რურუა: - ჩვენი მეგობრობა ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო, ერთად ვიბრძოლეთ, ვიშრომეთ, ვიღვანეთ... ხალიჩაზეც გამოვცადეთ ერთმანეთი, ლხინშიც და ჭირშიც... ვიცხოვრეთ საერთო ქვეყანაში და ახლა სხვადასხვა სამშობლო გვაქვს, მაგრამ ვერც დრომ და ვერც პოლიტიკურმა ქარტეხილებმა ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყია, ვერ წაშალა...

## „პოლო შერპინება“

რომან რურუას „ბოლო შერპინება“ ამ ძალა-თან შედგა. ორთავესოვის მძიმე აღმოჩნდა, ბოლოს ძაღლი დაწებდა. ყველამ ურჩია ბატონ რომანს ძაღლის მოშორება. ეს ძაღლი დღესაც ეზოშია. დაპირისპირება მეგობრობით დასრულდა.





## ზიღილი

რომან რურუას

არც მთებმა  
და არც  
ბარჩხალა მზემ,  
არამედ წლობით ბრძოლამ და შრომამ  
ინგირ-მდინარედ გვაქცია ჩვენ,  
ინგურ-სინათლედ, რომან!

ვით ჯიუტ მუხებს, გვახსოვდეს რომ  
ქართან პირისპირ გვიხდება დგომა, -  
აკრძალულ ილეთს იყენებს დრო  
ჩვენს წასაქცევად, რომან!

ახლა წლებთანაც ვჭიდაობთ ჩვენ  
იწყება ძველი ტოტების ტყდომა,  
დღეს ემატება უბრალოდ დღე,  
ჩვენს წასაქცევად, რომან!

მაგრამ სამშობლო გვიმაგრებს ფრთებს,  
გულმა რა იცის მიმწუხრში კრთომა,  
ეს გაუმარჯოს დაგრეხილ წლებს, -  
გაფრენილ სიყრმეს, რომან!

კვლავ მოგვიხდება,  
„ქო, ბიჭო, ქო“,  
ლოდებზე ცინცხალ ტალღებად სხლტომა,  
აკრძალულ ილეთს იყენებს დრო  
ჩვენს დასაცემად, რომან!

მაინც ვჭიდაობთ და მაინც ვძლევთ,  
რაც უნდა თეთრად დაგვთიფქოს დრომან...  
მაშ, გაუმარჯოს ბარჩხალა მზეს,  
ღრუბლებს რომ დასცემს, რომან!

მორის ფოცხიშვილი

1972 წ.



რომან რურუა, ალექსანდრე კარელინი, მანუჩარ კვირკველაძე

## პლატსანდრე კარელინი

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ცხრა გზის მსოფლიო ჩემპიონი, თორმეტგზის ევროპის ჩემპიონი, სსრკ-სა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო დუმის დეპუტატი

„მეამაყება, რომ რომან რურუასთან ერთად, ერთ ეპოქაში, ერთი ქვეყნის გუნდში ვასპარეზობდი. ვუსურვებ მას დღეგრძელობას. დაე, ვერანაირმა პერიპეტიობმა ვერ შეუშალოს ხელი ჩვენს საინტერესო ურთიერთობას.“

## იმრე პოიაპი

ოლიმპიური ჩემპიონი,  
სამგზის მსოფლიო ჩემპიონი

„ჩვენ ვიყავით ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ხალი-  
ჩაზე და საუკეთესო მეგობრები ხალიჩის მიღმა.“



## ვიქტორ იგუაზოვი

ხუთგზის მსოფლიო, მრავალგზის ევროპისა და  
სსრკ ჩემპიონი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დო-  
ქტორი, პროფესიონი



- რაც კი რამ საუკეთესო სიტყვა შეიძლება მოიძებნოს ადამიანის შესაქებად, კულა ერთად მინდა გამოვთქვა რომან რურუაზე საუბრისას. იგი არის, მართლაც ლეგენდარული სპორტსმენი და ადამიანი. მის შესახებ ჩვენს მოწაფეებს ვუყვებით, მის მაგალითზე ვასწავლით მომავალ თაობებს.


## მიხეილ მარიაშვილი

მსოფლიო სამგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი,  
სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების  
გამარჯვებული, რუსეთის სპორტული ჭიდაობის  
ფედერაციის პრეზიდენტი



- რომან რურუა გამორჩეულია საჭიდაო სამყაროში. მისი სიბრძნე, ნებისყოფა, უდიდესი ადამიანურობა თაყვანისცემის ღირსია. მე დღესაც გულთბილი დამოკიდებულება მაქვს მასთან. დღეს საქართველოში რთული მდგომარეობაა, მაგრამ რომან რურუა ისეთივეა, როგორიც იყო, - ჩემპიონი ხალიჩასა და ცხოვრებაში.







## პატივცემულო ბათონებო!

უნდა ვალიარო, რომ ჩემთვის მოულოდ-ნელი, თუმცა სასიხარულო იყო, როდესაც გავიგე, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ აპირებდა ჩემზე წიგნის გამოცემას, სა-დაც შევიდოდა ჩემ მიერ გამოქვეყნებული სტატიები, საგაზეთო ინტერვიუები და ტელ-ეგადაცემები.

არ მეგონა, რომ აღნიშნული სტატიები ცნობილი ადამიანების ასეთ დაინტერესებასა და მაღალ შეფასებას გამოიწვევდა.

სამომავლოდ ვაპირებ ჩვენი ქვეყნისთვის მეტად საჭირბოროტო, მნიშვნელოვან თემებზე მუშაობას და მსურს ჩემი მოსაზრების გა-მოთქმა-დაფიქსირება, რაც ვიმედოვნებ, ყვე-ლასთვის მისაღები და გასაგები იქნება.

მსურს მადლობა მოვახსენო „ქართული ერ-თობის დარბაზს“ ინიციატორებს, მათ, ვინც ჩემზე სტატიები გამოაქვეყნა და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო წიგნის მომზადე-ბასა და გამოცემაში.

დიდი პატივისცემითა და მადლიერებით,  
თქვენი რომან რუსა

## პოზიცია დაფიქრებისათვის!

ქვეყანაში მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა არ არის ძნელი. რა არის საჭირო?!

- ლირსება ხალხში
  - პასუხისმგებლობა ხელისუფლებაში
  - ლირსეულის დაფასების პოლიტიკა
- ქვეყანაში

- ხალხსა და ქვეყანაში იმის გაცნობი-ერება, რომ ხელისუფლება ხალხის მსახურია და არა უფროსი.

- ხალხსა და ქვეყანაში იმ რწმენის გა-ძლიერება, რომ სამშობლოს გადარჩენა ჩვენ-შია – ქვეყანაშია, გარეთ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა მხსნელები და პატრონები.

ასეთი დიდი ქართული მიზნისთვის ლირს ცხოვრებაც და თავგანწირვაც.

სწორედ ამიტომ ვამბობ: დიდი ქართული ერთობით გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლო და თითოეული ჩვენგანიც.

## ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე...

მიმრავლე ეჭვის გამრავლების დღე,  
შურზე, მტრობაზე, ამაღლების დღე,  
მიმრავლე მტრებთან შერიგების დღე,  
საკუთარ თავთან შერკინების დღე,  
სხვათა ცოდვების გამართლების დღე,  
ჩემი ცოდვების ანათემის დღე,  
მიმრავლე შენთან შეხვედრების დღე,  
შენთვის ამ ქვეყნის შევედრების დღე,  
ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე...

### შოთა რეზნიანიძე

### პატონო რომან!

ეს ლექსი თქვენი საყვარელი ლექსია, ალბათ, მომავლის საქართველოსათვის ბრძოლის განწყობის ლექსია, იმის დასტურიც არის, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!“

ღმერთმა გიმრავლოთ სათნოების დღეები!

**25 ნოემბერს 75 წელი გისრულდებათ.**

გვჯერა, ქართველი ხალხი და თქვენი თაყვანისმცემელნი მთელს მსოფლიოში მადლიერებით აღვნიშნავთ მას.

ღმერთო, უმრავლე საქართველოს თქვენეული განწყობისა და შემართების მამულიშვილები!

**სარედაქციო საბჭო**



## მოგავლის საქართველოსათვის

**„ქართული ერთობის დარბაზისა“ და მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის  
„ეროვნული თანხმობისათვის“ პროგრამული განაცხადიდან**

**(ეს დოკუმენტი შემუშავებულია ქართველი მეცნიერებისა და მოღვაწეების მიერ,  
ბატონი რომან რურუას მონაწილეობით)**

**მომავლის საქართველოსთვის გვესახება  
ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:**

**პირველი** – განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ ამ პრობლემაზე;

**მეორე** – მეწარმეობის დაცვის გარეშე არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფლების პირადი შეხედულებებისა და ახლობლების მიხედვით. ხელისუფლებამ მეწარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

**მესამე** – კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ იპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

**მეოთხე** – ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამას გარე სამყაროსთან ურთიერთობისა – ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

• **ჩვენ გვინდა** არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირ განაცხად მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებულ მონაწილეობა და არა სხვისი კარნახ-

ით, რაც მთავარია – თვითმყოფადობის შენარჩუნება;

• **ჩვენ გვინდა** არა უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვკარნახობენ, არამედ რეალურად ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;

• **ჩვენ გვინდა** ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და სიძლიერე შინ და გარეთ“;

• **ჩვენ გვინდა**, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვენილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულებს – ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში;

• **ჩვენ გვინდა** სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით:

• **ჩვენ გვინდა**, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა დავით ალმაშენებელმა შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანაგრეველი მოდელი – საქართველოს ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა). ჩვენი ამოცანაა, საქართველო გადავაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

## სარჩევი

მოღვაწე.....	5
ბიორგორაფია .....	8
მოაზროვნის ოფლი .....	9
ავირჩიოთ ადამიანები, რომელსაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვა.....	11
Let's elect to the parliament people, who has the Georgian soul and the same time who feel the breathing of the globe .....	14
Изберем людей с истинно грузинской душой, но которые чувствуют дыхание планеты.....	17
რომან რურუას პოზიცია დაფიქრებისათვის .....	20
„ადამიანი ბუნების შვილია და თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს!“.....	21
ათი უნივერსიტეტიც რომ დაამთავრო, შეიძლება სხვაზე 10-ჯერ კი არა, უბრალოდ ჭკვიანიც ვერ იქნები, თუ ბუნებამ არ გიშველა .....	30
დავძლიოთ მონური ფსიქოლოგია, ნუ ვიქნებით სხვისი ხელის შემყურე! .....	32
მოქმედების მანიფესტი .....	37
ტარიელ ხარხელაური – ბლავილი ამყვა ამ დილით.....	41
ფოტო-კოლაჟი – გელათსა და სამებაში .....	42-43
ფოტო-კოლაჟი – „ქართული ერთობის დარბაზი“ ბათუმში .....	44
ფოტო-კოლაჟი – მიღებულია მიმართვა ხელისუფლებისადმი რუსთაველის ქეგლთან .....	45
ფოტო-კოლაჟი – მეგობრები .....	46-47
ფოტო-კოლა – წინაპრები და ოჯახი .....	48-49
ფოტო-კოლაჟი – ბეჭდაუდებელი ფალავანი.....	50
სურათების ისტორია.....	51
მორის ფოცხიშვილი – „ჭიდილი“.....	52
მსოფლიო სპორტსმენები რომან რურუაზე.....	53
ფოტო-კოლაჟი – წალკოტად ქცეული ხრიოკი .....	54-55
რომან რურუა – მადლობის სიტყვა .....	56
შოთა წიშნიანიძე – ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე.....	57
მომავლის საქართველოსათვის .....	58

ISBN - 978-99940-867-7-1

სარედაქტო საბჭო

პაპაშვილი გიორგი  
ესტური გოგლიშვილი  
რამაზ ლომინაძე  
ირაკლი მაჩავარიანი  
ალექსანდრე ოჩიგვავა  
ნონა ლამბაშვილი  
თეიშურაზ შაშიაშვილი

პორეატორი –  
ნონა ლამბაშვილი

დიზაინი –  
გიორგი თერეთელი  
კოდენუტირული დიზაინი –  
ლავით ხოსრაური

